



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი  
(ტევეტი)  
№12 (485)  
(5782)  
2021

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגוריה

### საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თბილისის ბეთ ქნესეთში ხანუქის პირველი სანთელი აანთო



#### ხანუქა სამეახს!

ჩემო ებრაელო ძმებო, ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს! ჩემთვის დღეს აქ, თქვენთან ერთად, ჩვენს ძვირფას და საყვარელ ებრაულ თემთან ერთად ვოფნა და დღევანდელი დღის, ამ დიდებული დღესასწაულის აღნიშვნა, დიდი პატივია. ხანუქა ეს არის რწმენის და განახლების დღესასწაული. ეს არის სინათლის სიბნელეზე გამარჯვების დღესასწაული, ეს არის სიკეთის გამარჯვების დღესასწაული. ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს.

ჩვენ მართლაც უნიკალური, 26 საუკუნოვანი ძმობა გვაქვს, რომლის ანალოგიც მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება. საქართველო ებრაელი ხალხის მეორე სამშობლოა. ჩვენ, ქართველებმა ყოველთვის ვიცით, რომ თქვენ ხართ ჩვენი ძმები და ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ. ვაფასებთ ჩვენს ძმობას, მეგობრობას, ურთიერთპატივისცემას და სიყვარულს, რომელიც ჩვენ ორ ხალხს შორის არსებობს.

ისრაელს, ქართველ ებრაელებს და მთელ მსოფლიოში ებრაელ ხალხს მინდა ვუსურვო გამარჯვება, სიმტკიცე, კეთილდღეობა და წარმატება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

### ებრაელები, ძველი კოლხეთი, არგონავტიკა

ზოია ჯინჯინაშვილი



„ებრაელი ერი უპირატესად ისტორიული ერია, რომელმაც ადამიანის ცნობიერებაში ისტორიული კატეგორია შემოიტანა, თავად ისტორია კი უმოწყალო აღმოჩნდა ამ ხალხის მიმართ.“

ნ. ბერდიაევი

დრ. საქართველო) ებრაელთა პირველი მიგრაციების თუ უკუმიგრაციის დასახლებების ზუსტი თარიღი, მიზეზები და პირობები არ არის ცნობილი, მაგრამ ამ თემით დაინტერესებული პროფესიონალი მკვლევარი მრავალმხრივი, ღრმა, საფუძვლიანი და, რაც მთავარია, მიუკერძოებელი, ობიექტური კვლევით ყოველთვის რაიმე ახალს შემატებს ამ უაღრესად პრინციპულ საკითხებს. საქართველოში მეცნიერთა შორის დიდხანს ჰქონდა ფეხი მოკიდებული მოსაზრებას, რომ აქაურ ებრაელებს არა აქვთ საკუთარი ისტორია, საკუთარი კულტურა, ერთადერთი რაც თავისი აქვთ – ეს რელიგიააო. საბედნიეროდ, ამ სტრიქონების ავტორის მრავალწლიანი კვლევებით გაბათილდა ეს ყოველად უსუსური, უსაფუძვლო მოსაზრება, გამოვლენილი იქნა ამ ძირძველი ხალხის შესანიშნავი ისტორია, ეთნიკური ყოფა და კულტურა. რამდენიმე წლის წინათ (2012 წ.) გამოქვეყნებულმა ჩვენმა მონოგრაფიამ „ებრაელები და საქართველო, დიასპორა თუ...“ რადიკალურად შეცვალა საქართველოში ებრაელთა ვითომც და „არ არსებული“ ისტორიის შესახებ ყველა მონაცემი, ეჭვს ქვეშ დააყენა მანამდე ჭეშმარიტებად მიჩნეული, თუ საგარეუდო ყველა ვერსია და თარიღი, მათ შორის ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრების 26 საუკუნოვანი თარიღი. ზემოხსენებული მონოგრაფია ღრმა კომპლექსური ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნო-ანთროპოლოგიური, ფილოლოგიური-ლინგვისტური კვლევის შედეგია. ამავდროს ფართოდ ვყრდნობა უძველეს ბიბლიურ (ძირითადად თორის ხუთწიგნეულს) საისტორიო მონაცემებს, თორისა და კაბალისტური ლიტერატურის ეზოტერული მონაცემების გამოყენების, მათ ეთნო-ლინგვისტურ-რელიგიური ანალიზის შედეგებს. ხსენებულ მონოგრაფიაში დასმული საკითხები შესწავლულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდით. მასში საქართველოს ებრაელთა ისტორიის გარდა, ნაკვლევია ზოგადებრაული და ზოგად-ქართული, აგრეთვე ზოგიერთი ებრაული თემის, მაგ. ესპანეთის, სომხეთის, სპარსეთის ებრაელთა ისტორიის რიგი საკითხები. ზემოხსენებული კუთხით ებრაელთა ისტორიის კვლევა პირველია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. კვლევის ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ერთი მხრივ საქართველოს ებრაელთა, მეორეს მხრივ ზოგადებრაული თუ ზოგად-ქართული ისტორიის სრულიად უცნობი ფაქტები და მოვლენები, რომელთა კვლევის საფუძველზე შევეცადეთ ახლებურად გაგვეზრებინა და დაგვესაბუთებინა ებრა-იბერიული ფენომენის, ებრაელთა და იბერთა (კავკასიის, ესპანეთის) წარმოშობა-წარმოშობის, მათი თავდაპირველი საცხოვრისის თუ ეთნოგენეზისის ზოგიერთი საკვანძო ასპექტი, კერძოდ, იბერ/ებრაელების, იბერ-ქართველების (აგრეთვე იბერ-ბასების გენეტიკური ნათესაობა, მათი კავკასიური წარმოშობა და მიგრაციები კავკასიიდან, ხოლო შემდეგ უკუმიგრაციები (უკუკავკასიზაცია) თავიანთი თანამდევით, მრავალწინაგოვანი მოვლენებით. ებრაელთა მრავალჯერად უკუმიგრაციებს რომ ნამდვილად ჰქონია ადგილი ამას მოწმობენ როგორც ჩვენი ადრინდელი ისე სრულიად ახლად მოკვლეული უძველესი უცხოური თუ შედარებით გვიანდელი ადგილობრივი ნარატიული (ზეპირი და წერილობითი) წყაროები, საისტორიო-ეთნოგრაფიული, განსაკუთრებით ფილოლოგიური-ლინგვისტური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც უკუმიგრაციების დროს

დაახ, სადაც კი დაუდგამს ფეხი ამ ისტორიულ ერს და უცხოვრია მცირე თუ დიდი ხნით, ყველგან შეუქმნია განუმეორებელი ისტორია. გამორჩეული ნიჭით, მოქნილი ჭკუით და სწორუპოვარი იდეებით ფორმა და შინაარსი შეუცვლია ნებისმიერი გეოგრაფიული არეალისათვის, უდიდესი წვლილი შეუტანია აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ცივილიზაციების და კულტურების შექმნა-განვითარებაში. ალბათ ამიტომ წერდა გამორჩეული რუსი ფილოსოფოსი ვლ. სოლოვიოვი: „ებრაელთა ისტორია მსოფლიო ისტორიის ღერძია“-ო. მაგრამ როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში შექმნილი მათი დიდებული ისტორიების, ხელთუქმნილი საკაცობრიო მონაპოვრების ნამდვილ ავტორებად თავად ებრაელები არ დარჩენილან; ბედის მწარე ირონიით თუ სწორედ ისტორიის უმოწყალობით ისინი სხვა ტომების, ხალხების კუთვნილებად ქცეულან თუ უქცევიათ. რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით კავკასია-საქართველოს ებრაელებში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ორიოდ სიტყვით უნდა შევეხებოთ ებრაელთა ანუ ივერ/იბერთა წარმოშობა-წარმოშობას. ივერ/იბერთა ისტორიის ჯაჭვს თუ გავყვებით, შევხვდებით, რომ ისინი იმ გეოგრაფიული არეალიდან არიან, სადაც ბიბლიური წარწერები „შემდეგ ნოემ და მისმა შვილებმა დაიდეს ბინა, არც თუ ისე შორს არარატ-არმენიიდან, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა. სწორედ იქ დაბადებულან და აუდგიათ ფეხი წარწერის შემდგომი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე. სამხრეთ კავკასიური წარმოშობის ამ უძველესი ერის ფესვები იმ მიწაშია საძებნელი, იქ ჩამოყალიბებულან ტომებად და თავიანთი დიდი წინაპარ-ეთნარქის – ივერ/იბერის ძეთა (ებრ. ბნეი ივერ (იბერ) ანუ „ივერიელ/იბერიელთა“ სახელით გაფანტულან სამხრეთის მიმართულებით დიდი მიგრაციების პერიოდში. ამდენად, ისინი არ მიეკუთვნებიან არც ახლო-აღმოსავლურ და, მით უმეტეს არც სემიტურ ეთნიკურ ტომებს. გარკვეულ კულტურულ და ენობრივ სემიტოზაციას ისინი გაივლიან სემიტებთან, განსაკუთრებით, ქანანელებთან ერთად ცხოვრების შედეგად, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მათ ტომობრივ (რასობრივ) სემიტოზაციას და ეთნო-ანთრო-პოლოგიური კვლევის უდიდესი შეცდომაა, რომ ივერ/იბერ (ებრაელებს) სემიტურ ეთნოსად თვლიდნენ და სამწუხაროდ, თვლიან დღესაც, ვინც არ იცის მათი წარმოშობა-წარმოშობის ნამდვილი ისტორია. „ივერ/იბერ“ ეთნიკური სახელით არიან ისინი ცნობილი როგორც თავიანთი, ისე სხვა უძველეს ხალხთა ისტორიულ ანალებში. ივერ/იბერიდან ნაწარმოები ტოპონიმი ივერია/იბერია დაუშვებლად ზემოხსენებულ გეოგრაფიულ არეალში დარჩენილ აბორიგენ ივერ/იბერთა შთამომავლების და ქარიშხლიანი ისტორიის გამოისობით სხვადასხვა დროს უკან მიგრირებულ „ყოველთა ნათესავთა მათთა“ ანუ ივერ/იბერ (ებრაელთა) საცხოვრებელ გარემოს – დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს, აგრეთვე პირენეის ნახევარკუნძულზე გადასახლებულ მათ თანამომკმეთა სამოსახლო ქვეყანას – თანამედროვე ბასკეთს. კავკასიის ივერია/იბერიაში (თანამე-

ებრაელები რამდენიმე ტალღად შემოდიან კავკასიის, მათ შორის დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, სახლებიან მის როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ ნაწილში ძველთაგანვე იქ მცხოვრებ თანატომელთა გვერდითაც და სრულიად ახალ ტერიტორიებზეც და იმ ადგილებს ებრაულ სახელებს არქმევენ. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში უხვად მიმოხვეული ეს სახელები ანუ ტოპონიმები ებრაელთა უძველესი ისტორიის უტყვი მოწმენი არიან. ამ ტერმინების კვლევა-ამეცხველებით ჩვენს განკარგულებაში გადმოდის ყველაზე მართალი და სანდო ინფორმაცია, რომელიც ობიექტურად მოგვითხრობს ამ ტოპონიმებით აღნიშნულ დასახლებებსა და მათ მოსახლეებზე. დღევანდელ ქართულ სინამდვილეში შემორჩენილი ამ ტოპონიმების, საერთოდ ებრაული ტერმინოლოგიური მასალის, კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ენათმეცნიერული ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენადაც ისინი ისეთ ინფორმაციას გვაწვდიან ებრაელი ხალხის უძველესი ისტორიის, ეთნიკური ყოფის თუ კულტურის შესახებ რასაც ქართული ნარატიული წყაროები არ შეიცავენ და არქეოლოგიაც შეუგნებლად თუ შეგნებულად დუმს მათ შესახებ. იქნებ ამიტომაც, სამართლიანად შენიშნავდა აკად. კ. ნერეთელი: „მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული ურთიერთობა გვაძლავს დიდი გულისყურით გადავხედოთ ამ ორი ხალხის მიერ გავლილ გზას და წარმოვაჩინოთ ამ ურთიერთობის გამოხატველი აქამდე უცნობი ან უსაფუძვლოდ მიჩქმალული ფაქტები, მათ შორის ტერმინოლოგიური ხასიათისა.“<sup>24</sup> უკვე ხსენებულ ჩვენს მონოგრაფიაში ფართოდ ვეხებით ამ საკითხს. დღემდე უცნობი ან არასწორად გარკვეული ეტიმოლოგიის არაერთი ტერმინი-ეთნონიმი, ტოპონიმი თუ ჰიდროტერმინი ვიკვლით როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ისე ენათმეცნიერული კუთხით, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა მათი ებრაული სემანტიკა და ეტიმოლოგია-წარმოშობა რა რაც კიდევ ერთი, ამჯერად უტყუარი ლინგვისტური მოწმობაა დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე ებრაელთა ცხოვრების უძველესი კვალისა. ხსენებული მონაცემები წყალს უყენებენ და საფუძველს აცლიან ყველა იმ თეორიებს თუ მტკიცებებს, რომელთა მიხედვითაც ხსენებულ გეოგრაფიულ გარემოში ებრაელთა პირველი გადმოსახლებები თუ პირველი დასახლებები ე.წ. კოლონიები ვითომც და ძვ. წ. II ან, ყველაზე უადრეს შემთხვევაში, ძვ. წ. VI ს. არმაზ-უცხეთის\* მიდამოებში მოიაზრება.<sup>25</sup>

როგორც აღინიშნა, ტერმინებში კოდირებულია უძველესი ინფორმაცია. მათი კოდის სწორი გახსნით უფრო მეტ და სანდო ინფორმაციას ვღებულობთ არა მხოლოდ ებრაელთა გადმოსახლებებზე თუ დასახლებებზე, არამედ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც მაგ. იბერ/ებრაელების და იბერ-ქართველების გენეტიკურ ნათესაობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ტერმინების კვლევის მონაცემები როგორებიცაა: იბერ/ივერ/ებრაელი, იბერია/ივერია, ურია/გურჯი, ქართველი, ქართველი ებრაელი, ზანი-ზანავი, კოლხი-კოლხიდა/კოლხეთი, ფაზის/ფასისი, ფოთი/ფათი და მრავალი სხვა. აქ ჩამოთვლილი ტერმინების ეტიმოლოგიაც და სემანტიკაც ზუსტად იხსნება ებრაული ენის საშუალებით.\*

ამჯერად, წინამდებარე მონოგრაფიით გვინდა მკითხველთა სამსჯავროზე წარმოვადგინოთ სრულიად ახალი მასალა დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ებრაელთა კვალის უძველესობის მაჩვენებელი. ნაშრომის საფუძველს შეადგენს, ერთი მხრივ, ძველ კოლხეთთან დაკავშირებულ ძველ ანტიკურ ელინისტურ და ბიზანტიურ მითოლოგიურ და საისტორიო მწერლობაში, მეორეს მხრივ – თავად საკვლევ რეგიონში მრავლად დაფიქსირებული დღემდე უკვლევია არასწორად ბერძნულად და ქართულად მიჩნეული ებრაული ფილოლოგიურ-ლინგვისტური მასალების, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიური (ეთნონიმიკის, ტოპონიმიკის, ჰი-

დროტერმინების) მონაცემების კვლევის შედეგები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია თავად ტოპონიმი კოლხიდა/კოლხეთი და ამ მზარის დედა-მდინარე – ფაზის/ფასისი, რომელთა პირველადი კვლევის მონაცემები უკვე ზემოხსენებულ ჩვენს ადრინდელ მონოგრაფიაშია წარმოდგენილი.

ბერძნულ სამყაროში სახელმა – „კოლხიდა/კოლხეთი“ ადრე მოიპოვა ზოგადი კრებითი მნიშვნელობა და ხშირად აღნიშნავდა შავიზღვისპირა ქვეყანას კავკასიონის ქედიდან დაწყებული ვიდრე დღევანდელ ტრაპეზუნტის რაიონებამდე. ძვ. წ. VIII-VII სს-ის შემდეგ ბერძნულ სამყაროში კოლხეთად მთლიანად დღევანდელი დასავლეთ საქართველო იგულისხმება,<sup>26</sup> მაგრამ ასეთი ფართო მნიშვნელობის გარდა ეს ტერმინი ზოგჯერ ერთი ვიწრო ეთნიკური ან პოლიტიკური ერთეულის მნიშვნელობით იხმარებოდა. სწორედ ასეთი ვიწრო მნიშვნელობით იხმარება კოლხების სახელი ჰეროდოტესთან (ძვ. წ. V ს.), როდესაც ის ლაპარაკობს აქემენიდების (სპარსი მმართველების) იმპერიასთან კოლხების ურთიერთობის შესახებ.<sup>27</sup> ჰეროდოტესული კოლხების ადგილსამყოფელი საძებნია მდ. ფაზისის (რიონის) შესართავთან ახლოს მდებარე ადგილებიდან ვიდრე ჭოროხის შესართავის (მის სამხრეთით) მდებარე ადგილებამდე.<sup>28</sup>

ბერძნების წარმოდგენაში კოლხების და კოლხეთის ცნების გაჩენას მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ქვეყანაში არგონავტების ლაშქრობას (ძვ. წ. XII ს., ქართული ტრადიციით XIII ს.) უკავშირებს, მკვლევართა მეორე ნაწილი არ იზიარებს ამ აზრს და კოლხეთის თემის გაჩენას არგონავტობაში გვიანდელ (ძვ. წ. VIII ს. შემდგომ) ჩანართად მიიჩნევს. სწორედ ამ პერიოდში იწყება ბერძნული ახალშენების (სავაჭრო ემპორიონების) დაარსება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ, შემდეგ კი აღმოსავლეთ სანაპიროზე როგორებიცაა მაგ. გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი) და ფაზისი.

ძველი და შუასაუკუნეების ქალაქი-ნავსადგური, კოლხური გაერთიანების მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი – ფაზისი ძვ. წ. VIII ს-ში ბერძნების დაარსებულად ითვლება, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა მას ძვ. წ. VI ს-ში წარმოქმნილად მიიჩნევს.<sup>29</sup> ნერიონბათი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე საფიქრებელია, რომ იგი მდებარეობდა თანამედროვე ფოთის (ებრ. ფათი) და მისი შემოგარენის მიდამოებში.<sup>30</sup> სტრაბონის მიხედვით, ფაზისი შემოფარგული იყო ამავე ფაზისის მქონე მდინარით, ტბით (პალიასტომი) და ზღვით.<sup>31</sup> ახ. წ. II ს-ის ავტორის – არიანეს მიხედვით, ფაზისი მდებარეობდა მდ. ფაზისის მარცხენა ნაპირზე და ემიჯნებოდა ტბას.<sup>32</sup> ფაზისი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ სავაჭრო მაგისტრალზე. ასეთივე მნიშვნელობის ყოფილა, ფაზისის სახელით ცნობილი კოლხეთის უდიდესი მდინარეც (რიონი), რომელზედაც გადიოდა სავაჭრო მაგისტრალის მონაკვეთი შავსა და კასპის ზღვებს შორის. მდ. ფაზისი პირველად ძვ. წ. VIII-VII სს-ის ბერძენ ავტორთან – ჰესიოდესთან არის მოხსენიებული.

როგორც იტყება, ფაზისი (ქალაქი) მიღებული ბერძნების დარსებულად ითვლება და მისი სახელიც ბერძნულად არის მიჩნეული, ისე როგორც სახელი „კოლხიდა“/„კოლხეთი“, თუმცა, მათი ეტიმოლოგია უცნობია ბერძნულში და თვით ქართულშიც, ვერ იხსნება ვერც ბერძნულ და ვერც ქართულ ენით, ებრაული ენით კი შესანიშნავად იხსნება, ამიტომ ორივე ებრაულად მიგვაჩნია.

ტოპონიმი „კოლხიდა“/„კოლხეთი“ ნაწარმოები უნდა იყოს ებრაული ფუძიდან კლხ (חל) ან ფუძის მქონე სიტყვები: „კელახ“ (חל) – წყლის ქველი, ნაკადი, ლიკლოახ (חל) – ჭაღვლებად წყლის დენა, კოლახ (חל) – დის, მიედინება, მეი კოლახ (חל) ჭაღვლებად მდინარი წყლები – დაკავშირებულია ნიადაგზე გადამდინარე წყლის ნაკადებთან, ავლებთან. ამგვარად, ტერმინი „კოლხეთი“

(დასასრული მე-6 გვერდზე)

# „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია...“

ციხანა ჯანაშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №11)

იაკობ ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, როლანდი კრიხელი, ჩემი მეგობრების- რიჩარდისა და დალილას მამა. რაფაელ კრიხელმა მოიყვანა ორივე ვაჟი, როლანდი და რომა ჩვენს სახელოსნოში. მამას უნდა მოემზადებინა რომა, უმცროსი ძმა, სამხატვრო სასწავლებელში ჩასაბარებლად, როლანდი კი- უნივერსიტეტში, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე... მამა (მიხეილ ჯანაშვილი) ამეცადინებდა ყველა ახალგაზრდას, ვინც კი მოსურვებდა ხატვის სწავლას. მასთან მოდიოდნენ: აბრამ შაატა იოსებაშვილი (ცნობილი არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე), მიხეილ ხუნდიაშვილი (გამოჩენილი მხატვარი), ხშირი სტუმარი იყო რაფი ალელიოვი (გრაფიკოსი), მხატვარი როზა ალელიოვი კი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო უკვე და დიდ პრაქტიკას გადაიბარა მამას სახელოსნოში. როლანდი რომ დავინახე პირველად, მეტად მელანქოლიური მეჩვენა; მალაი და გამზდარი, ცისფერთვალება... არც გამიეღვებია თავში, თუ როდისმე ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდებოდა. როლანდი შთაბეჭდილებას ტოვებდა წყნარი და მშვიდი ადამიანის, და როგორ შეიძლებოდა ჩემი დაუდგარი, მოუსვენარი ხასიათი მოსწონებოდა... როლანდი დიდ დროს ატარებდა ჩვენთან სახელოსნოში, ერთად ვმუშაობდით ფერწერაში, მამაჩემსაც ეხმარებოდა ბევრ საქმეებში, ხშირად მეჯდა ნატურაში დავხატავდი მის პორტრეტებს, მოდელისთვის სურათებიდან გადმოსულს ჰგავდა. მომხიბლა მისმა პოეტურმა გარეგნობამ. როლანდის თვითოეულ მოქმედებაში და საუბრებში ვგრძნობდი როგორ უყვარდა ხელოვნება და ამან დამახლოვა მასთან, იგი აღფრთოვანებული რჩებოდა ჩემი შექმნილი პორტრეტებით... ზღაპარივით ვიხსენებ იმ დღეებს, ორივენი 17 წლისანი ვიყავით. ამონარიდი დღიურიდან: ოთხშაბათი, 31 მაისი 1972 წ. „დღეს მიიწურება ჩემი ცხოვრების მეჩვიდმეტე გაზაფხული. მიხდა ეს დღე განსაკუთრებული ხალისით გავატარო. ამ დღის სამახსოვროდ რაიმე შევიქმნა, რომ ეს პერიოდი გამახსენდეს, როგორც ჩემი პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საათები. შეიძლება ასეთი ბედნიერი აღარც ვიყო არასოდეს, შეიძლება მრავალი ისეთი სიხარული გავიცხოვრო მამაჩემთან, რომ გააუფერულოს ეს დღე.“ ერთ ღამეს დამეხიზმრა: ამონარიდი დღიურიდან. სამშაბათი 16 მაისი, 1972 წ. „... კარგად მახსოვს, თეთრი კაბა მეცვა, ქალები მრთავდნენ, ნეფეს, ჩემს საქმროს პირველად ვხედავდი. მე, სასონარკვეთილს ნინა-ნალმდეგობის განკურნება არ შემეძლო. უცებ ნეფემ თვალი მომაცილა, მეც სიტუაციით ვისარგებლე და იმ ტერიტორიიდან თვალის დახამხამებამი მოვწყდი. უცებ სამი ლანდი დავინახე, რომლებიც ჩემსკენ მოიმართებოდნენ, ორი უცნობი ბიჭი და როლანდი. მან შემომთავაზა დახმარება, მე რა თქმა უნდა სიხარულით შევხვდი და გავიქეცი ოთხივენი, შორს, უკან დავინახე ჩვენსკენ მორბენალი ხალხის სილუეტები, ყვირილით, ლანძღვით გვიახლოვდებოდნენ. მახსოვს, სარდაფშიც ამოვყავით თავი, იქიდან ვასახელები კარები ძლივს მოვხატეთ. მოხუცებული ჯადოქარი ქალიც შეგვხვდა, გზა გვიჩვენა ნინ, თითქმის ყველა გვეხმარებოდა გაქცევაში და ამ სირბილში გამომეღვიძა აჩქარებული გულით, რადგან უფსკრულში ვიჩხებოდით...“ ასეთი სიხშირის შემდეგ მაინტერესებდა თუ მომდევნო დღე რას მომიტანდა. საღამოთი, ჩვეულებისამებრ სახელოსნოში ვიყავით, მამას სტუმრები ჰყავდა, როლანდი განცალკევებული იჯდა, მეტად ჩაფიქრებული, დამიანხა რომ მივახლოვებულიყავი და გამომიცხადა რომ ვუყვარდი, და დაჟინებით მომთხოვა პასუხი, ცოლად გავყვებოდი თუ არა, მე ვუპასუხე: „რატომაც არა, თუ კარგი ბიჭი იქნები“-მეთქი. როლანდი ნასიამოვნები დარჩა. ასე შეგვიყვარდა ერთმანეთი. ზაფხულის არდადეგების შემდეგ როლანდი მოეწყო უნივერსიტეტში. მუდამ მაკითხავდა სამხატვრო ტექნიკუმში, როდესაც ახალი ფილმი გამოვიდოდა ეკრანზე, ჯერ კინოთეატრში მივდიოდით და შემდეგ მამასთან სახელოსნოში და ორივენი ვხატავდით... დადგა ისრაელში ასვლის საკითხი, რამაც გამოიწვია ჩემი სულის ფორიაქი, თავი ბურანში მეგონა. ამონარიდი დღიურიდან: „... არ ვიცი სად გადამისროლებს პირქუში ცხოვრების ორომტრიალი, რა მომელის დღეს თუ ხვალ, რას მიმზადებს ბედი. ო, ღმერთო! მომანიჭე ძალა, რათა ეს უსახო ჯებირები გადავლახო, რომლებიც ჩემს წინ ამყავდ, ჯიუტად აღმართულან და ჩვეულებრივი ცხოვრების საშუალებას არ მძძღვენ! დედაჩემს უზარმაზარი განსაცდელი დაუდგა ნინ-მშობლიური მინისა და საყვარელ ადამიანთა, მოხუცებული დედის, დედამამიშვილთა სამუდამო განშორება, მაგრამ არ იხვეს უკან, მხარში ამოუდგა მამას...“ ძალიან მანყენინა ჩემმა ტექნიკუმის ამხანაგმა, ნანა ჭკუასელმა. გაბრაზებული იყო ჩემზე, რომ ქართველი ბიჭი არ შემოეყვარა და როლანდის ვუკავშირებდი ჩემს ცხოვრებას. მეუბნებოდა: „მე შენ ებრაელად არ გთვლი, შენ ხომ დედა ქართველი გყავს და რას ებრაელობო ასე?“ (ამ გადასახედებთან, ვფიქრობ, ეს ნანას შეეძალა, რეაქცია იყო იმისა, რომ არ უნდოდა დაგვეკარგა ერთმანეთი, დღემდე მახსოვს და მიყვარს). მარტო ნანა არა, ბევრი გახდა მსაჯული ჩემი პირადი ცხოვრების და ჩემს სულ-

ში დაინყეს ხელების ფათური. „მარცხდნენ“- „... თუ გინდა მხატვარი გამოხვიდო, გათხოვება და ოჯახი ხელისშემშლელი ფაქტორი იქნებაო“... დღიურში ვწერდი: „მართალია, ფიზიკურად არ ვარ ძლიერი, მაგრამ მჯერა, რომ ყველა სიძნელეებს გადავლახავ, აუცილებლად გამოვალ მხატვარი, შემომქმედი-სანუკვარი, წმინდა ოცნების. ეს ხომ ჩემზეა დამოკიდებული. მე შემოძლია გავინათო ცხოვრების გზა, და შეიძლება ისიც, რომ საკუთარი ხელით დავამსხვრიო, ნაცარტუტად ვაქციო ყველაფერი... მე ძალიან დიდი იმედი მაქვს როლანდის, პირველ რიგში, რომ მუდამ ვეყვარები, აღმოაჩნდება ენერჯია ცხოვრების რთული მხარეების დასაძლევად. დამეხმარება შემოქმედებით მუშაობაში. მეც, ჩემს მხრივ ძალას და ენერჯიას არ დავიშურებ, რომ მანაც ბედნიერად იგრძნოს თავი“...

ამონარიდი დღიურიდან: სამშაბათი, 16 იანვარი 1973წ. „... ორი დღეა ბარდნის თბილისში, ისეთი თვალისმომჭრელია ბუნება, ისე ლამაზად და უჩვეულოდ გამოიყურება არე-მარე, მსურს რომ დაუსრულვებლად ვიყურებოდე ფანჯრიდან. ვინ იცის, იქნებ ჩემს ცხოვრებაში აღარ განმეორდეს ასეთი ლამაზი თოვლიანი ზამთარი, ყოველ წუთს იმის ფიქრი მაქვს, რომ ეს უკანასკნელი თოვლიანი ზამთარია ჩემთვის, ჩემს თბილისში...“ 1973 წლის 25 სექტემბერს მე და როლანდი დავქორწინდით... რამდენიმე თვეში ისრაელში მივდივართ... დღიურიდან: „... მივდივართ“, რა თავისუფლად წარმოითქმება ეს სიტყვა და რა ძლიერ გაცნობდა თანა დაკავშირებული... ფერწერაში მუშაობას თავს არ ვანებებ. ფუნჯით გადამაქვს ტილოზე ჩემი განცდები...“ თბილისის დღიურის უკანასკნელი ფურცელი: შაბათი, 12 იანვარი 1974წ. „... გუშინ გავიარეთ ტამოყნი“.

რვა საათი ვედექით თავზე გაჩხრეკვას მე და მამა, სულმთლად გავიყინეთ. მარტო იმის დარდი გვქონდა, რომ მამაჩემის გამოფენების „შთაბეჭდილების ნიგნი“ უკან არ დავტოვებინათ... (ხელნაწერების გატანა აკრძალული იყო) . არაფერი მალულად არ გაქეჭონდა, ისე რომ უდარდელად ვუცქერდით მეზაფხებს, რომლებიც გულდასმით სინჯავდნენ თვითოეულ ნივთს. ისინი მამას მიმართ კარგად განწყევნენ და მუყაოზე შესრულებული ნამუშევრები და „შთაბეჭდილების ნიგნი“ ჩაგვიწყეს „ზაგაში“ კმაყოფილები დავრჩით... „როლანდი გარეთ გვიცდიდა, მალულად შემოიხედებოდა ხოლმე... მე სიცივისაგან ვძაგძაგებდი და სასწრაფოდ მომიყვანეს სახლში... ვერ გადავურჩი, ავად გავხვი, პამიდორი მოვიწოდოე ამ შუა ზამთარში, ფეხმძიმედ ვარ!“ 1974 წლის 24 იანვარის, ცივ, ზამთრიან დღეს გავემგზავრეთ ისრაელისაკენ... თბილისიდან-ბრესტში, ბრესტიდან-ვენაში, ვენიდან-ისრაელში „ელ-ალ“-ის თვითმფრინავით ჩავფრინდით 1974 წლის 4 თებერვალს. აეროპორტიდანვე გავგანაწილეს ქ. ცფავთში ჩავფლულ, ეგზოტიკურ, მხატვრების ქალაქში, თავისი სახელოსნოებითა და სტუდიებით. ოტელ „ულფანში“ დავგვამინავეს. ისრაელის მთავრობამ უზრუნველგვეყოფილხრივ, ივრითულ ენასაც გვასწავლიდნენ... ქ.ცფავთის ისტორიამ, მისმა განსაკუთრებულმა ლანდშაფტმა, ქუჩებმა, მთებმა და გორებმა მოგვიხილეს. გაცივანით იქაური მხატვრები, მათ შორის რუსეთიდან დიდი ხნის წინ ამოსული მხატვარი, ცფავთის მაცხოვრებელი, უკვე სახელმწიფოეჭილი, აპარონ გელადი. იგი მეტად დაინტერესდა მამაჩემის პიროვნებით, მოგვაკითხა სასტუმროში და მიიწვია სახელოსნოში, დაუკვეთა თავისი პორტრეტი, რომელიც ძალიან მოეწონა მხატვარს. როგორც მამამ, მეც ნამოწიყე ცფავთში ფერწერაში მუშაობა. მიუხედავად კეთილმოწყობილი პირობებისა, ნოსტალგია მომეძალა... დრო და დრო რომელი მე გორაკზე ჩამოვჯდებოდი და უსასრულოდ ვაგეცქეროდი იმ მხარეს, საითკენაც საქართველო მეგულბოდა. იქ დარჩა ჩემი ზავებობა, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები... უხმოდ ვტიროდი... ასე მეგონა, თუ ერთ გორაკს გადავივლიდი, მეორეს მესამეს-ბოლოს აუცილებლად ჩემს თბილისში აღმოვჩნდებოდი... ეს განწყობა გადმოვიტანე ტილოზე-„ფიქრები გოლანის მალბობებიდან“... ჩვენს ულფანს ჯარისკაცები იცავდნენ დღე და ღამე... იქვე ახლოს სკოლა მდებარეობდა. გაკვეთილების შემდეგ ამ სკოლის გოგონები და ბიჭები ჩვენი ოტელის წინ ჩამოვივლიდნენ, ვსაუბრობდით ერთმანეთში, ვხუმრობდით, ვიცინავდით... ერთ დღეს სამხრეთ ტრაგედია დატრიალდა- ტერორისტებმა და სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები მძევლებად აიყვანეს და თითქმის ყველანი ამოხოცეს! თავზარი დავეცე ყველას, სულ თვალწინ მედგა დახოცილი ბავშვების სახეები. ერთმა დედამ სამი შვილი მიაბარა მინას! „მაცალითს“ ტერორისტული აქტის შესწრებამ უდიდესი სასონარკვეთილება გამოიწვია ჩემში და ვეცადე ეს განცდები გადმომეტანა ტილოზე. ერთმა ისრაელის მკვიდრმა, შეამჩნია თუ რა შიში მეწვარა სახეზე და მითხრა: „ასეა, ისრაელიდან დასხვევრებულად მოჰყავს შვილი-ერის გადასარჩენად“... ისრაელის თვითოეული დედა გმირია! ამ დროს, მე ხომ



ფეხმძიმედ ვიყავი და დავხატე „დედა-შვილი“, ჯერ კიდევ მეტად გაურკვეველ მომავალზე დაფიქრებულმა. შევექმენი სერია სურათების: „შიში“, „ვედრება“, „მსხვერპლი“ და სხვა

მამა ულფანში ინტენსიურად მუშაობდა ფერწერაში, და ამ პერიოდში შექმნილ სურათებს გაცივრო ისრაელის საზოგადოება. იერუშალიმის ქალაქის მერმა, ტედი კოლეკმა შესთავაზა მამას იერუშალიმში დასახლებულიყო, რასაც მამა სიამოვნებით დათანხმდა, ტედი კოლეკმა სურათიც შეიძინა ცფავთში დახატული. ულფანის დამთავრების შემდეგ დავსახლდით იერუშალიმის ახალ რაიონში, „ჰარონი ჰანაცივი“-თაღფოტში, რომელიც გადასცქერის ძველ ქალაქს. ამასობაში ჩემმა დედამთილ-მამამთილმა გადაწყვეტილება მიიღეს ისრაელიდან წასვლისა და სასწრაფოდ გაემგზავრნენ საზღვარგარეთ... მე ვერ გავყევი მათ, იმ მოტივით, რომ მშობიარობის დრო მიახლოვდებოდა, თანაც ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ეს სამუდამო განშორება იქნებოდა მამასთან, ის ხომ ისრაელს არასოდეს მიატოვებდა, მაგრამ 4 თვის შემდეგ მეც,ახალ შექმნილ ვაჟთან და ძმასთან, დათოსთან ერთად ჩავედით როლანდისთან იტალიაში... ფაქტიურად, ისრაელიმ ამოსვლით დედა თავი შემოგვწირა, მაგრამ მკაცრია ცხოვრება, ვერ გაუძლო ჩვენთან განშორებას და რამდენიმე თვეში ჩვენთან ჩამოვიდა იტალიაში, იმ იმედით, რომ მამაც როდისმე შემოგვიერთდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა... საქართველოს, სამშობლოს დავტოვეთ შემდეგ, თურმე რა დიდ განსაცდელს მიმზადებდა ცხოვრება, განშორებას-მამასთან და ისრაელთან. 1975 წლის გაზაფხულს, 25 აპრილს რომიდან -ნიუ-იორკში ჩამოვფრინდით და აქ დავიდეთ ბინა, სადაც დღემდე ვცხოვრობთ... ქალიშვილი, დალილა შემეძინა 1975 წლის 5 დეკემბერს. ახალგაზრდა მშობლებს, მე და როლანდის უამრავი საზრუნავი გავიჩინა, სოციალისტური ქვეყნიდან-კაპიტალისტურ სამყაროში გზის გაკვლევა არც თუ ისე იოლი იყო, ბევრი სიძნელეების გადალახვა გვიხდებოდა, მაგრამ ხელოვნებისათვის არასოდეს არ გვიღალატია... კოლორადოს შტატის ქ. დენვერში, „სლოან“ გალერეაში წარვადგინე ისრაელში შექმნილი ნამუშევრები. გალერეის დილერმა, მინა ლიტინსკიმ შემაწყობინა, რომ ჩემი ორი სურათი გაიყიდა: „ავტოპორტრეტი“ პოლ კაშს შეუძენია, ხოლო „დედა-შვილი“-ბილ ბესტონს. გამომიგზავნა გაზეთი-„როკი მაუნთ ნიუს“, 13 ნოემბერი, 1981წელი. ქ. დენვერი, სადაც კრიტიკოსი, ირინა კლურმენი წერდა: „... გამოფენაზე დომინირებს პეიზაჟები, სალოცავების ფერწერული ტილოები, ნატიურმოტები და სულიერებით აღსავსე პორტრეტები. ციხანა ჯანაშვილის კომპოზიციების სერიაში გადმოცემის მეთოდი მელიოდრამაა. ციხანა ჯანაშვილის ტანჯული, ალერგორიული ფიგურები დიდოსტატ ჟერიკოს დევნილებს მაგონებენ, სურათიდან „მედუზას ტივი“... ეს რომ წავიკითხე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორი უტყუარი ალო აღმოაჩნდა ირინა კლურმენს. მან იგრძნო, რაოდენ ტანჯვაში და რა სულერ დაძაბულობაში იქნებოდა ეს ტილოები. ჟერიკოს „მედუზას ტივი“ პათოსისა პროტესტის ნიშნითა ხელოვნების ისტორიაში. ირგვილ უსასტიკესი რეალობა! შორს, ჰორიზონტზე კი, სინათლე ბჟუტავს... მთელი ჩემი შემოქმედების გზაზე, ჟერიკოს ეს სურათი მიდგას თვალწინ- წინა პლანზე სასიკვდილოდ განწირული ადამიანები, შორს, ჰორიზონტზე კი, გადარჩენის სულ მცირე იმედი, სინათლის ნაპერწკალი... დაახ, შემოქმედების პროცესი ხომ აბობოქრებულ და ცეცხლის ლავად ქცეულ უფსკრულზე გადანიჭებას ჰგავს-სვლაა გადარჩენისაკენ!

(გაგრძელება იქნება)

# ისაკო „ტარზანას“ სიყვარული

(ამონარიდი ახალი რომანიდან „მზის კარავში“)

გურამ პათიაშვილი



მკითხველს ისაკო „ტარზანას“ აღნაგობა რომ აღუწერო, ცხადად წარმოუდგინო, თუ როგორი შესახედაობისა გახლდათ, უთუოდ გაუჭირდება იმის მიხედვით, ამ ჩია ტანის კაცს, უღვაში იმერელი აზნაურით რომ აენკიპა, ტარზანას რატომ ეძახდნენ: ტარზანი ხომ მაღალი, მხარბეჭიანი, ერთობ მძლე და საამო საცქერი პერსონაჟი გახლდათ, იმ წლებში გამოსული „ტრაფინი“ ფილმისა „ტარზანი“. ისაკო კი... თუმცა, უკვე გითხარით, როგორი აღნაგობისა გახლდათ, ის კი დამავინყდა, მეთქვა, რომ თვალის კაკლები ტელევიზორის ეკრანზე არეული გამოსახულების სისწრაფით დაურბოდნენ. რაღა მკითხველი, მეც ვკვირობდი, ამ კაცს ტარზანს რატომ ეძახიან-მეთქი. მოგვიანებით, ვგონებ, ვიპოვე მიზეზი: ამ პატარა ქალაქის ებრაელნიცა და მეგრელებიც, ირონიას იშველებდნენ: „სულ ტარზანს არ მიუგავს მხარბეჭი?“ „სულ ტარზანივით არ დადის?“ უღვაში უკვე გითხარით, იმერელი აზნაურით აუწყებია-მეთქი. ისე, შესაძლოა, ვინმემ შემომიტოოს კიდევ, ამ იმერელ აზნაურს რას ჩააცივდი, კონია ოჩიგავა გვერდით არა ჰყავსო? მართალიც იქნება. კონია მეზობელიც არის და ამხანაგიც და უღვაშის ფორმა სწორედ მისგან გადმოიღო. წვერის მოპარსვას დიდი დრო არ მიაქვს: გასაზნულ ლოყაზე უცებ ჩამოისვამს სამართებელს და მორჩა, აი, უღვაში კი... უღვაშის მოვლა-დაყენებას ერთობ სერიოზულად, ყურადღებით ეკიდება და კარგა ხანს უტყუარებს. მის ფაშვამა ქალბატონ მარგოს არაერთხელ შეუძახნია: „რას შობი, ისაკო, შუადღე მოვიდა, შენ კი მაგ უღვაშს გადაყვივ!“ შუადღემდე ჯერ კიდევ შორს იყო, დილა იდგა, მაგრამ მარგოს ეჭვი ღრღინდა: ნეტავი, ვის აწონებს თავს, ამ უღვაშს ვისთვის უტრიალებსო. ცოლი კი შეუძახებდა, მაგრამ ისაკო მაინც არ აჩქარებდა. პატარა მაკრატლით უღვაშს უტრიალებდა და ვიდრე გულს არ იჯერებდა — არ დარწმუნდებოდა, უღვაში „პარიადაკაშიაო“ მაკრატელს ატრიალებდა. მერე კი მარგოს დაუცაცხანებდა, ხომ ხედავ, რა დრო მოვიდა, მაგვიანდება, ჩემი საუზმე სად არისო. იმ საბრალო ქალს საუზმე მზად კი ჰქონდა, მაგრამ იმაზე ფიქრი, მისი ქმარი თუ ვის აწონებდა თავს, ვის გამო ტრიალებდა სარკის წინ ამდენი ხანი, ღონეს აცლიდა და უგერგილოდ ირჯებოდა. ეჭვობდა, ისაკო აბემა „ფუტბოლისტის“ ნაცოლარს უტრიალებსო. იმის მკერდს, თეოტებს რომ შესცქეროდა, ინყვევლებოდა: „გაგისმეს ეგ „დევიატკაზე“ შეყენებული ძუძუები, რაღა ბუხანკა პურივით გამოგიშვერია ტრაკი, კაცებს ეძახი „მოით, მოითო!“

ისაკო-„ტარზანა“ ისაუზმებდა თუ არა, გარდა. ეზოდან გასული, ჭიმკართან შეყოვნდებოდა, ზემოთა მხარეს ახედავდა, თუ არავინ ჩანდა, ფეხს აითრევდა — ეზოს მოუტრიალდებოდა, ხეხილს ყურადღებით ათვალიერებდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა — ზემოთ ისიც გამოჩნდებოდა და ისაკო აუჩქარებლად გაუყვებოდა ბაზრისაკენ მიმავალ გზას. მალე მიმოზა-ბულალტერიც წამოეწყო, ისაკო-„ტარზანა“ თბილად მიესალმებოდა: „მუჭო ზოჭუთ, ოსურპატენი!“ როგორ ბრძანდებით, ქალბატონო, ეკითხებოდა ახალგაზრდა ბულალტერს, ის კი ისაკოს გაუღიმებდა და მიუგებდა არა მიმავს, რაო. სიცილისკისით, ახალი ამბების, ანეგდოტების მოყოლით მიუყვებოდნენ გზას საყოფაცხოვრებო კომბინატამდე, სადაც მიმოზა-ბულალტერი მუშაობდა. მიმოზა კომბინატში კარგ გუნებაზე შედიოდა და ისაკო-„ტარზანას“ ხვალ დილაამდე ნახვამდისო, ალერსიანი მზერით ემშვიდობებოდა.

ისაკოს რკინა-კაველის მაღაზია კი შუა ბაზარში იდგა. მაღაზიას „პომომნიკი“ დათუშა დილაადრიან აღებდა. კლიენტურა ბევრი ჰყავდა, უმეტესად სოფლებიდან ჩამოსულნი. გლეხკაცს მინის დასამუშავებლად ბევრი რამ სჭიროდა და იცოდნენ ისაკო-„ტარზანას“ მაღაზიაში ყველაფერს იშოვიდნენ. ისაკო ნაშუადღევს „პომომნიკ“ დათუშას ფულს გაუნოდებდა და ეტყოდა: „გავარდი ერთი, ნამცხვარი იყიდე და მიმოზა-ბულალტერ მიურბენინე — ქვრივი ქალია და უნდა დავეხმაროთ, ცოდოა!“ დათუშაც ხან ნამცხვარს, ხან ხილს, ხანაც ეჯიბების გამოცხვარ ცხელცხელ ხაჭაპურს, მიმოზას მაგიდაზე რომ დაუდებდა, ბულალტერი უსათუოდ შესძახებდა: „მუ რე თენა, ნიე!“ ეს რა არის ბიჭო, დათუშა კი მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმებდა „მე და შენ ვიცოდეთ, რაც არის და ვისგანაც არისო. მიმოზაც გაიღიმებდა: ყველაფერი ვიცი, სხვათა გასაგონად შევძახეო.

როგორც ვნახეთ, ისაკო-„ტარზანა“ მიმოზა ბულალტერს ყოველ დილას ხვდებოდა, მოსაკითხსაც უზავნიდა, დაგეგმილი ჰქონდა, მომავალ კვირაში ზღვისპირა კურორტზე მიეპატიუნა, იქ კარგ ბინას დაეიქირებდა და... ისაკო-„ტარზანა“ ასე ფიქრობდა, ღუტიმ კი — იქვე, გვერდით ფართელულის მაღაზია ჰქონდა, ასე შეუტია: „შენ შარს დაეძებ... მაგ ქალ კეკუამ დაადგა თვარი. რა ჭკუაზე ხარ, მართლა ტარზანი ხო არა გგონია თავი... კეკუას გინდა, ეჭიდავო და ყველას საქმე გააფუჭო?“ ახმახი, თვალბებრივად კეკუა ამ პატარა ქალაქის მილიციის უფროსი იყო — ამდენად, ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილის ბატონ-პატრონი. ისაკო-„ტარზანა“ ღუტიმ ნათქვამმა დააფიქრა... არა, არ დალონებულა, დაფიქრდა: კეკუასთან მას თავისი განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა: კეკუამ რომ ბაღჩა-ბაღით დამშვენებული კუკუჩიების აგურით ნაშენი „ბელეტაჟი“ შეიძინა, მათი განსაკუთრებული ურთიერთობის ნაყოფიც გახლდა.

ისაკო ორი დღე ფიქრობდა, ამ საქმისათვის როგორ მოელო. საშაბათს კი „პომომნიკმა“ დათუშამ მანანა გუნჯუასთან ნაყიდი ტკბილეულობა უხმოდ დაუდო დახლზე. ისაკო „პომომნიკ“ დათუშას გაოცებული მიაჩნდა: ეს რა არი, მიმოზა ბულალტერთან მისატან ტკბილეულობას, აქ რა უნდაო. დათუშამ „ხაზეინს“ მზერა აარიდა და ლამის ზურგიც აქცია. ისაკო-„ტარზანას“ ბრაზიანი შეძახილი: „ჰე!“ რომ მოესმა, მუნჯივით რატომ დგახარ, რატომ არ ამბობ, რა ხდებო, არც მობრუნებულა, ისე ჩაილაპარაკა: „ნასულა!“ გოგონია — ახალი სოფლიდან ჩამოსული ისაკო-„ტარზანას“ კარგა ხნის კლიენტია — უკვე დახლთან იდგა და ელოდა, როდის მოხვდებოდა — დახლზე კოლმეურნეობისათვის საყიდელი ინვეტარის გრძელი სიაც დადო: ყველაფერი ეს გადმომოდეთ და ჩვეულებისამებრ ყუთებში ჩამალაგებინეთო. ისაკო-„ტარზანას“ კი მისკენ არც მოუხედნია, დათუშას მზერით ეკითხებოდა გამაგებინე, ვინ სად წასულაო. „ჰო!“ ეს უკვე მოთმინებადალეული და კიდევ უფრო ბრაზმორეული „ტარზანას“ შეძახილი გახლდათ და ნიშნავდა: ხმა ამოიღე, გამაგებინე, რა ხდებო. „პომომნიკი“ დათუშა, სხვა რაღა დარჩენოდა, მობრუნდა და თქვა: „შეგბულებოა აუღია, ერთკვირიანი შეგბულებოა!“ ისაკო-„ტარზანამ“ უმალ აულო ალლო, თუ რაოდენ ირონიული იყო დათუშას სახეზე მოდებული ღიმილი. ამ დროს ითხოვა გოგონიამ, მაგვიანდება, იქნება დამიჩქაროთო. დათუშას ირონიული ღიმილით გაღიზიანებულმა ისაკომ

კი ლამის იყვირა: „ხომ ხედავ, აღნერა ვაქვს. მაღაზია დაკეტილია!“ როგორც უკვე ითქვა, გოგონია კოლმეურნეობას თუ რამ სჭირდებოდა, აქ მოდიოდა. თან ყუთებს უფსებდნენ, თან სასაცილო ამბებს, ანეგდოტებს ყვებოდნენ. ახლა კი... დიდი ხნის კლიენტი გაკვირვებული გავიდა. „დაკეტე კარი!“ ბრძანა „ხაზეინმა“. დათუშამ ცხადია, ბრძანება უმალ შეასრულა.

— ჰო, კაი, მერე რა მოხდა — ქალი შეგბულებში წავიდა, შენ რას იჭყანები? — იკითხა ისაკო-„ტარზანამ“.

დათუშა ერთხანს გარინდებული იდგა. პასუხის გაცემას არ ჩქარებდა. „ხაზეინმა“ ამიტომ დასძინა „ჰა?“ დათუშამაც ამოთქვა:

— აბა, მე რა ვიცი, ან სიდან უნდა ვიცოდე, მარა... ასე მგონია, საცლახოდ ნაიყვანა ვილაცამ...ხო უყურებ, რავარი გასაიმასქნებელი ქალია...კი, ბატონო, საცლახოდ ნაიყვანეს!

პირველი, რაც ისაკო-„ტარზანამ“ იგრძნო — დათუშა დაკაცებულიყო — ის მოზარდი აღარ იყო ბეხორამ რომ მოუყვანა, იქნება, ჩემს ბიჭს ზაფხულობით ნოქრობა შეასწავლო, არდაგაგების თვეებში ქურჩა-ქურჩა ხეტიალს ავაცდენ, ქურჩაში რა სიკეთეს ისწავლისო. დიახ, დათუშა ის მოზარდი აღარ იყო ისაკო-„ტარზანა“ აღმა-დაღმა რომ დაარბენინებდა. „იქნება, ისიც იცი, ვის გაჰყვა?“ დათუშამ მხრები აიჩეჩა არ ვიციო. ისაკოს კი მის მიმართ ისეთი ნდობა გაუჩნდა, ჩაეძინა: „მაინც, შენ რაღა ფიქრობ!“ დათუშამ კვლავ არაფერი თქვა და „ხაზეინი“ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ანგარიშგასანევი ყმანეილი გამხდარა. ისაკო-„ტარზანამ“ კბილები გააკრაჭუნა, „კარგი!“ ჩაილაპარაკა და გავიდა. მილიციის შენობამდე ათიოდ წუთის სავალი, თუ იყო, არაერთხელ ყოფილა აქ. ახლაც ჩვეულებრივ აუყვანა მეორე სართულისაკენ მიმავალ კიბეს, რამდენიმე საფეხური აიარა, თუ არა, „საით მოქალაქე!“ მოესმა მორიგის ხმა, „უფროსთან, კეკუასთან მაქვს საქმე!“ მიუგო ისაკო-„ტარზანამ“. „არ არის, ერთი კვირით მივლინებამი წავიდა, ჩამობრძანდით!“ ხელითაც ანიშნა უკან დაბრუნდი, ჩამოდიო. ისაკო-„ტარზანამ“ კიდევ ერთხელ გააკრაჭუნა კბილები.

— რა ხდება ამ ქალაქში ებრაელები აღარაფერს აკეთებენ? რა ხანია, საქმე არ მოგიტანია! — ღიმილით ეკითხება კეკუა ისაკო-„ტარზანას“. ისაკო კი ფიქრობს: „გულაობა ძვირი დაგიჯდა? შემოგაკლდა?“ და ამბობს: „რამე ისეთი ხო არაფერი მოხდა...დიდი ხარჯი გქონდა?“ კეკუამ თვალები დააბრიალა, ეგ შენი საქმე არ არისო და კბილებში გამოცხრა: „საქმე?“

— რა გინდა, ისიდოროვიჩ, რამდენი ურიისაგან ავიღეთ ფული — არ გეყოფა? — ამჯერად კეკუამ გაიღიმა და იკითხა:

„შენ გეყოფა?“ „ჰო, კარგი, მოვიფიქრებ რაღაცას, ხვალ გნახავ!“ და ბაზრისაკენ გაემართა — დუქანი ხომ შუა ბაზარში ედგა. გზად საყოფაცხოვრებო კომბინატისაკენ გაუხვია — ენადა, დარწმუნებულიყო, მიმოზა-ბულალტერი ადგილზე იყო, თუ არა, ე.ი. მილიციის უფროსთან ერთად იყო და ერთად დაბრუნდნენ, თუ არა. ქურჩის იქითა მხრიდან, კარგად დაინახა მიმოზა-ბულალტერს თავი ქალბატონში რომ ჩაერგო. თითქოს, კბილები კიდევ ერთხელ უნდა გაეკრაჭუნებინა, მაგრამ მიმოზას დანახვისთანავე გულისცემა ისე აურქარდა, ნაბიჯი შეანელა, შეჩერდა კიდევ; გულისცემა დავიცხროო, მონატრებულ მიმოზა ბულალტერს მიაცქერდა. მიმოზას ხილვით ისეთი სიამე დაეუფლა, თითქოს გულის კარი გაეხსნა. მიმოზა-ბულალტერმა კი, ისაკო-„ტარზანას“ მზერა იგრძნო, თუ აქეთ შემთხვევით გამოიხედა, ისაკოს ჯერ გაუხვია, ხელიც კი დაუქნია, მერე, თითქოს, რაღაც გაახსენდა, ან ვილაცამ შესძახა, რას აკეთებ — ვის უღიმი, ხელს ვის უქნევო, თავი ისევ ქალბატონში ჩარგო. ისაკომ კი გზა განაგრძო, მიდიოდა და მიმოზა ბულალტერის ღიმილი, მისი მკერდი, სუნთქვას უკრავდა. ერთი სული ჰქონდა, მის ძუძუებს როდის მიუალერსებდა. დროდადრო იმასაც კი წარმოიდგენდა, მის ქვეშ მოქცეული მიმოზა ბულალტერი, როგორ სუნთქავდა და ვნებას დამორჩილებული, კისერზე როგორ შემოხვევდა ხელებს. მაღაზიაში შევიდა, კლიენტებს ემსახურებოდა და მაინც მიმოზა-ბულალტერი ედგა თვალწინ. ნაშუადღევს დათუშას ფული ჩვეულებით-სამებრ გაუნოდა და უთხრა: „იმ ქვრივ ქალს დუხი რამე უყიდე და ნამცხვართან ერთად მიუტანე!“ დათუშა გაკვირვებული მიაცქერდა „ხაზეინს“, ისაკომ კი, ასეა, საქირო, გაინძერიო, უთხრა. დათუშა წავიდა და ისაკო-„ტარზანა“ კლიენტებს მიუბრუნდა. თან იმაზე ფიქრობდა, ხვალ კეკუასთან რით მისულყო, რა საქმე მიეტანა. იცოდა: იღუშა შაშუაშვილის ქალაქის ხელსახოცების საამქრო, როგორ მუშაობდა. ახლა კიდევ ფერადი ხელსახოცების საბეჭდი მანქანა ჩამოუტანია — ფერად-ფერად, ყვავილებიან ხელსახოცებს უშვებს- მაღაზიები რიგში დგანან, რაც შეიძლება, მეტი საქონელი მომეციო. ისაკო-„ტარზანა“ ამ ფიქრში იყო, დათუშა რომ მობრუნდა და მიმოზა-ბულალტერთან გაგზავნილი ძღვენი დახლზე დააღაგა: არ მიიღო, აღარ გამომიგზავნო, შემოგივალა!“ ისაკო-„ტარზანას“ ისევ მიმოზა-ბულალტერის სახე, მკერდი დაუდგა თვალწინ და ისე მოუნდა, მის ტუჩებს დაკონებოდა, ლამის სუნთქვა შეეკრა. „მე ისაკო-„ტარზანა“ არ ვიყო, თუ შენ ჩემს მკლავებში არ მოგიქციო!“ გაიფიქრა.

\*\*\*

კეკუას უმალ დაეტყო, რომ ისაკო-

„ტარზანას“ წინადადება არ მოეწონა და ცალკეად იკითხა: „ვინაა ეს ილუზია?“ „შაშუაშვილი. ქალაქის ხელსახოცების ცეხი რომ აქვს წისქვილთან“ მიუგო ისაკო-„ტარზანამ.“ მილიციის უფროსმა თვალები მოჭულა, ერთხანს დუმდა, მერე ხელი ჩაიქნია არა, არ ვარგაო და თქვა: „ქალაქის ცეხში ისეთი რა უნდა იყოს, რომ...“

— ცდები ისიდორივიჩი, ახალი მანქანა ჩამოუტანია, ფერად-ფერად, ყვავილეთიანი, ჩიტებიან ხელსახოცებს უშვებს. მალაზიები რიგში დგანან — საქონელი მომეციო, ნახევარზე მეტი გაუფორმებელი საქონელი გადის მალაზიებში, მანდ კეთდება ფული...

კეკუა ფიქრს მიეცა. ცოტა ხნის შემდეგ თქვა: „კარგი, გამიგე საქონელს როდის გასცემს“.

— მაგრამ ერთი პირობა ახლავს უნდა მომცე — კეკუამ თავი ასწია, „ტარზანას“ მიაჩერდა, არ უყვარდა, ასე რომ უსვამდნენ საკითხს — ეგ ილუზია შოთა დავიდოვიჩის ბიძაა. როგორც კი ცეხში აღწერას დაინწყებ, შოთა დავიდოვიჩი მოგადგება და თუ იმასთან მორიგდები, მერა...

— ჰოო... შოთა კარგი ბიჭია, ხალხიც ყავს...არაფერი ემღება...მე თუ უარს ვეტყვი, დამირეკავენ...შეიძლება, თბილისიდანაც კი დამირეკონ...

— აბა, ჩაშლილა ეგ საქმე! კეკუამ მხრები აიჩეჩა და თქვა: „სხვა რამე მოიფიქრე!“

ისაკო-„ტარზანა“ ორიოდ დღის შემდეგ, კეკუას კაბინეტში მხიარულ გუნებაზე შევიდა.

— კი ამბავი.. ხვალ შოთა დავიდოვიჩის ცოლ-შვილი პოლონეთში მიჰყავს საგულაოდ...ორი კვირა არ იქნება...

— პოლონეთში რა უნდა! — შესძახა კეკუამ, მაგრამ პასუხს არ დაელოდა — გამიგე, საქონელს როდის გასცემს!

რამდენიმე დღეში ქალაქის ებრაველთა ანრიადლა: ილუზია შაშუაშვილის საამქრო დალუქეს, აღწერა ჩაატარეს, ილუზია და ხუთი მალაზიის გამგე დააპატიმრეს, ბრალად სოციალისტური საკუთრების დატაცება ედებათო.

ისაკო-„ტარზანა“ ერთობ კარგ გუნებაზე, გაბადრული იჯდა კეკუას კაბინეტში, „ჰე, დალაგე!“ თქვა კეკუამ. ისაკომ გაიღიმა, ჩანთა გახსნა, მაგრამ ვიდრე რაიმეს ამოიღებდა, იკითხა:

— როდის გაუშვებ? იმ ხალხს პირობა მივეცი, ამ საღამოს ყველა სახლში იქნება-მეთქი.

— დღეს არ მოესწრება, ხელახლა უნდა დაიკითხო, ის უნდა თქვან, რასაც ვეტყვით, ეს მოგვეცემს, მათი ხვალ გამგების საშუალებას.

— ხვალ საღამოს ყველა თავის სახლში იქნება? — კეკუამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და ისაკო-„ტარზანამ“ ჩანთიდან ქალაქში გახვეული შეკვრა ამოიღო. კეკუამ ფულს გახვითი შემოახია და ყურადღებით შეათვალიერა და ისაკოს გაკვირვებულმა ახვდა: „სულ ეს არის?“ ეგ ილუზია შაშუაშვილის ოჯახისგან არის!“ ისაკო-„ტარზანამ“ ჩანთიდან უფრო მოზრდილი შეკვრა ამოიღო „ეს კიდო, მალაზიებისაგან!“ კეკუამ ფულს გახვითი აღარ შემოახია, თვალთ გაზომა და უფრამი მოაქცია.

— ჰო კარგი, ხვალ საღამომდე! — ეს სიტყვები საუბრის დამთავრებას ნიშნავდა, მაგრამ ისაკო-„ტარზანა“ ადგილიდან არ დაძრულა, მერე ჩანთა ისევ გახსნა და იქიდან ფულის შეკვრა ამოიღო. ხელში ათამაშებდა, თითქოს მისი წონის ამოცნობას ცდილობსო. „ეს რა არის?“ იკითხა მილიციის უფროსმა.

— ჩემი წილია, მაგრამ შეიძლება შენი გახდეს, ისიდორივიჩი, თუ გინდა, გახდება! — კეკუა გაკვირვებული მიაცქერდა ისაკო-„ტარზანას“ — თუ არ გეწყინება, ერთი პატივი უნდა მცე, ან რატო უნდა გეწყინოს, კაცურად მოვილაპარაკოთ... — კეკუა ხან მაგიდაზე გაშლილ გახვითს ჩახვდავდა, ხანაც ისაკო-„ტარზანას“ შესცქეროდა, ამნაირ საქმეზე მოვრიგებული ვარ?! მოლაპარაკების საკითხი არ არის? მიმოზა ბულალტერი უნდა დათმო,

აიღე ხელი მაგ ქალზე, დაანებე თავ... ისაკო ტარზანას წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, სახეში მუშტი რომ მოხვდა.

— გაეთრე! — შესძახა კეკუამ. ისაკო-„ტარზანა“ კი არც შერხეულა, იჯდა და თუ არ ვცდები, პირზე ირონიული ღიმილი დათამაშებდა. „მერე?“ იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— დატოვე ჩემი კაბინეტი! — ისაკო-„ტარზანა“ კვლავ უძრავად იჯდა. ახლა არ უნდა ვცდებოდე: ნამდვილად დათამაშებდა ირონიული ღიმილი — დაგიჭერ, ჩაგაყუდებ!

— ჯერ ეგ წითელი თუმნიანები, აქა-ურობას რომ ანათებენ, სადმე წაიღე, გადამალე და ეგ უჭკუობა მერე ჰქენი! ქალს ბევრი დაუღუპია და შენ ბოლო არ იქნები! — კეკუამ გრაფინიდან წყალი ჩამოასხა, დალია — მეც დამისხი — თქვა ისაკომ. კეკუა გაცოცხლებული მიაჩერდა — ჰო, წყალი ჩამომისხი, შე კაცო, რა მოხდა! — კეკუამ ჭიქა წყლით აავსო. ისაკოს წინ დაუდგა. ისაკომ წყალი დალია ჭიქა მაგიდაზე დააბრუნა და თქვა:

— ჰო, რა ვიცი...შაჰები, მეფეები თავიანთ ქალებს ერთგულ მსახურებს ჩუქნიდნენ... ერთი უნდა გავიკითხო, რა უთქვამთ ჭკვიან კაცებს: ფული უმჯობესია, თუ ქალი? — ისაკო-„ტარზანა“ ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია — ჰა, რას იტყვი, ისიდორივიჩი? ქალი იმ წუთში, ე, იმ წუთებში, ყველაფერ გირჩევენია, ქვეყნიერებას ჩააბარებ, მაგრამ ის წუთები ჩაივლის და...მორჩა, გაფრინდა... ერთ საათში კი ძველი, წასული ამბავია... ფული კიდო... დღევ მაგარია და ღამეც... თუ დაგჭირდა, დღეს ღამედ გიტყვევს და ღამეს დღედ...ქალი? ფულ რო ქალები ეხვევიან, ისე თავს არ ეხვევა ბუზი, თუ ისა...ისა რა ჰქვია...

— გითხარი, ოთახი დატოვე-მეთქი! — კბილებს შუა გამოსცრა კეკუამ.

— ნანობ ხო...უკვე ნანობ, რო დამარტყი, ხო...ანა ნახე შენ!

— წადი და ამ ოთახში აღარ დაგინახო!

— კაი, ბატონო, თუ ასე გირჩევენია, ნავალ, მარა... — ისაკო-„ტარზანა“ წამოდგა, გახვითი გახვეული ფულის შეკვრა ხელში ისევ შეათამაშა, კართან შეჩერდა და კეკუას მოუბრუნდა. ერთხანს უხმოდ იდგა. თვალბეჭდში ნაღველი ჩადგომოდა — ისიდორივიჩი, სხვა რას მირჩევი, ეგ ქალი თუ მიყვარს, რა ვქნა, კიდო რა გზა მაქვს?

კეკუა ყურადღებით მიაცქერდა და ხმადაბლა თქვა: „წადი!“

ისაკო-„ტარზანა“ ბაზრისაკენ დალონებული მიდიოდა. მიზეზი, გასაგები გახლდათ: მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ის კი მართლა გაუგებარი იყო, მართლა უყვარდა მიმოზა-ბულალტერი, თუ ის აღონებდა, რომ მის მკერდს ხელი ვერ შეახო, თუმცა... საფიქრებელია, რომ უყვარდა. ასეთი ვარაუდის უფლებას, ის იძლევა, რომ ამ წუთებში დაკარგულ მიმოზა-ბულალტერზე ფიქრობდა და არა იმაზე, რომ დღეიდან კეკუა ახლოს არ გაიკარებდა — დიდი ფულის შოვნის საშუალება წაერთვა. აღარც უნდოდა, მოსვენება. მორჩა, საკმარისია! კეკუა გაძლებს კი უმისოდ? გაძლებს იმის გარეშე, რაც ისაკო-„ტარზანას“ მასთან მიჰქონდა? კეკუა! ერთი მაგისაც... მიმოზა ბულალტრის აღწერას ვერ ეღიარა. ესაა მთავარი, დანარჩენს...უბედურ კაცად მიიჩნევდა თავს: კეკუა, მიმოზას როგორც უნდა ისე ატრიალებს, ისაკო კი...ეჰ. ამ ცხოვრების...

ამ ფიქრში იყო, მილიციელმა ხელი რომ გამოსდო: „წამოდი, კეკუა გეძახის!“ რამდენიმე წუთში კვლავ კეკუას წინ იჯდა. კეკუა ერთ ხანს დუმდა. მერე თქვა:

— ჰო...კიდევ რა გინდა ჩემი?

— არაფერი. თუ ყაბულსა ხარ, ჩემი წილი შენი იყოს, დანარჩენი მე ვიცი...

— ჰო, აგერ აქ ჩადე, ამ უფრამი... ისაკო ტარზანამ ჩანთიდან გახვითი გახვეული ფული ამოიღო და უფრამი ჩადო. კეკუამ ფულს გახვითი შემოახია, შეათვალიერა.

— არ მენდობი, ისიდორივიჩი? კეკუამ გაიღიმა: — კარგი...ზეგ ბავშვი სოფელში მი-

ყავს, დედასთან, არდადაგებია...სალამობით სახლში მარტო იქნება და...

— აბა, კარგად, სიკეთეში! — ისაკო კარისაკენ გაემართა. ის იყო, უნდა გასულიყო, კეკუას ხმა წამოეწია:

— შენ მართლა ებრაელი ხარ? ისაკო-ტარზანა მობრუნდა: — ვითომ რაო, რატომ მეკითხები? — ისე, ნამდვილად ებრაელი ხარ?

— ხო უყურებ, ყველაფრის ყიდვა მიწვევს და... — წინადადება აღარ დაამთავრა. გავიდა.

ისაკო-„ტარზანა“ ბაზრისაკენ კმაყოფილი, გახარებული კი მიემურებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რომელიღაც გაუგებარი წარმოშობის ცხოველს წლების განმავლობაში კლანჭებში ჰყავდა მოქცეული. დღეს კი იმ ცხოველს თავი დააღწია — მწვანე ბალახზე ნელ-ნელა, მშვიდად დაეშვა. ნურავინ იფიქრებს „ტარზანა“ ვერ მიხვდა, კეკუამ რის გამო გახადა საეჭვო მისი ებრაელობა — შენი ვილაგის ხალხი ასე არ იქცევა — ფულს ქარს არ ატანსო, ისაკოს კი მიაჩნდა, რომ სწორედ ებრაულად მოვიქცევი — ადამიანი ვისხენიო: მიმოზა ბულალტერი კეკუასაგან განთავისუფლა. ქვრივ, საბრალო ახალგაზრდა ქალს მილიციის უფროსის შიშის დევნა და დაემორჩილაო, მიიჩნევდა. ამიტომ მისი განთავისუფლება მადლიო. მადლის ქმნა ახარებდა და ბაზრისაკენ თავისუფალი, ვალმოხდილი კაცი ლაღად მიაბიჯებდა. რომელიღაც ნაცნობი მელოდიაც კი აეკვიტა — მიდიოდა და ღლინებდა, რადგან სჯეროდა: ახლა თავისუფალი მიმოზა-ბულალტერი მისი უახლოესი ადამიანი გახდებოდა — მისკენ სავალი გზა ხომ განთავისუფლა. ასე მივიდა მალაზიამდე, დახლში ჩადგა და კლიენტებს ჩვეულებრივად ემსახურებოდა. ზოგს მოიკითხავდა, ზოგს ეხუმრებოდა კიდევ, ორსა თუ სამ კლიენტს ანგლოტიც უამბო. დათუშა სახლში გაუშვა: „ვიცი, იმაზე ფიქრობ, როის გამოიშვება, ნადი ბიძი, დღეს აღარ დამაჭირდება, ორ-სამ საათში მეც დავკეტავ დუქანს!“ დათუშა გახარებული გავარდა. ადამიანები შემოდიოდნენ, რაღაცეებს ყიდულობდნენ და გადიოდნენ. არც იმ შუახნის ქალის მოსვლა გახლდათ რაიმეთი განსაკუთრებული და არც ის, რისი ყიდვაც მოისურვა: ნახევარი კილო წვრილი ლურსმანი, ერთი კოლოფი ზეთის საღებავი, ორი საკლიტურის ბუდე, ჩვენი არა, რუსეთის გამოშვებულიო, ოთხი კარის სახელურიო. ისაკომ ლურსმანი აუნონა და სქელი ქალაქის პარკში ჩაუყარა, დანარჩენიც იქვე ჩაღაგა. ქალმა ფული გადაიხადა და გასვლისას კართან შედგა, გვერდებოდათ, ვიღაც უნდა დახვედროდა, ვერ ხედავს და ახლა ფიქრობს როგორ მოვიქცეო. მერე ორი კაცი მიადგა: მილიციელი და გამოძიებელი, გვარჯენე, რა იყიდე და რა გადაიხადეო. გამოძიებელმა პრეისკურანტი მოითხოვა, ფასები შეადარა და გამყიდველ ისაკო ბაბალაშვილის მიერ ფასების დამახინჯება აღმოაჩინა, დაჯდა და აქვე დაიწყო აქტის შედგენა. მოქალაქე ნაჭყე-ბია ნ. დ-ს, მცხოვრებს შეგინკოს 12-ში, გამყიდველმა ი.ბაბალაშვილმა 7 მან. და 37 კაპიკით ზედმეტი გადაახდევინაო. ისაკო-„ტარზანა“ თუ აქამდე ირონიული ღიმილიტს შესცქეროდა მილიციელისა და გამოძიებლის ფართი-ფურთს, ახლა დაფაცურდა: „რას შვრებით, ეგ რა არის, რა სისულელეს წერთ!“ „დაიცათ, რაღაცა მაქვს სათქმელი!“ ამ შეძახილებმა რომ არ გაჭრა, კეკუა ჩემი მეგობარია და მაგ აქტს თავზე გადაგახვევთ. გამოძიებელმა, დახლიდან გამობრძანდით, ფასების დამახინჯების გამო, დაკავებული ბრძანდებით, სწორედ მილიციაში გავარკვევთ, თუ რამ არის გასარკვევიო. ისაკო დახლიდან გამოვიდა, მილიციელს ხელი ისე ჰკრა, ლამის წააქცია და მალაზიიდან გავარდა. რასაკვირველია, მილიციელი სტვენით, შეძახილებით: „სდექ!“, „შეჩერდი!“ გამოძიებელი კი ქოშინით დაეფენა. ბაზარში ხალხი ირეოდა, ადამიანები ხედავდნენ, მილიციელი ვიღაცას მისდევსო და ცდილობდნენ იმისათვის, ვინც გარბოდა, გზა გაენთავისუფლე-

ბინათ, ის რომ გაირბენდა, ისევ ერთმანეთში ირეოდნენ. მილიციელიცა და მას მიდევნებელი გამოძიებელიც ადამიანებს ეხლებოდნენ, ხალხში გზას ძლივს იკვლევდნენ. ისაკომ ბაზრიდან გააღწია. მილიციისაკენ მარდად გარბოდა. მილიციელი ბაზრიდან რომ გამოვიდა, რევოლვერი ამოიღო: „სდექ, გესვრი!“ ისაკო-„ტარზანა“ ცხადია, არ შეჩერდა — მშველელის-კეკუასაკენ გარბოდა. ბაზრიდან გამოძიებელიც გამოვიდა, სიჩქარეს უკლო — ველარ გარბოდა მეტიც, მილიციელს მისძახოდა: რას მისდევ, სად გაგვექცევა, აბრაგი ხოჭოლავა ვერ გაგვექცა და ეს სად ნაგვივანო, მაგრამ მილიციელი ჯიუტი ახალგაზრდა იყო: ენადა, დამნაშავე ხელებშეკრული შეეყვანა მილიციის შენობაში.

გარბოდა ისაკო. გამველ-გამომვლენი პირზე ღიმილმომდგარნი შესცქეროდნენ, თუ როგორ მისდევდა მილიციელი იმ „ებრაელ გამყიდველს.“

ისაკომ აგერ, საბავშვო ბაღს აუარა გვერდი და სადაცაა საყოფაცხოვრებო კომბინატის ერთსართულიან გრძელ, ყავისფრად შეღებულ შენობასაც მიუახლოვდებოდა. ქუჩაში სანახაობის საცქერლად ამდენი ხალხი გამოფენილა და ხომ შეიძლება, მიმოზა -ბულალტერმაც გამოიხედოს. არა, მიმოზამ არ უნდა დაინახოს გაქცეული ისაკო, არ უნდა ნახოს მილიციონერი რევოლვერით ხელში როგორ მოსდევს ისაკო-„ტარზანას“ — არა, ეს არ შეიძლება! ხვალ დილას ჩვეულებრივად, ნაცნობ ადგილას შეხვდება და ყველაფერს აუხსნის... ა, აი...ხნის საშუალება...ეს შესახვევიც ხომ მილიციის შენობასთან გადის... აქედან ცოტა უფრო შორსაა...მეტი გზაა, მაგრამ არაუშავს, მილიციელი მანამდე ვერ დაენევა, ამ შუკასაც გადაიბრუნს ისაკო-„ტარზანა“ და მილიციაც იქვეა, შევარდება და მორჩა... სამაგიეროდ, მიმოზა-ბულალტერი ვერ დაინახავს, ისაკო ჯიბის ქურდივით რომ გარბის...

და გარბის ისაკო, ლამის გული ამოუვარდეს...უკვე იღლება...მაგრამ აი, ამ შუკას მოიღვეს და მილიციის შენობაც იქვეა. აირბენს მეორე სართულზე და... მორჩა! ამ შტერ მილიციელს, იმ ლიპან გამოძიებელსაც ძვირად დაუჯდებათ ეს ამბავი... არ შეჩერებათ, ისაკო-„ტარზანას“ ამ დღეში ჩაგდება. აჰა, ეს პატარა ქუჩაც მოილია, მილიცია ქუჩის იქითა მხარესაა, მანქანები რომ ასე გახლებული მირბიმორბიან? მერე რა მოხდა — ისაკოს ვერაფერი ვერ შეაჩერებს — მანქანებს შორის ციყვივით დარბის... შესაძლოა, ვინმეს ისიც კი ეგონოს, ადამიანი ქუჩაში საცეკვოდ გამოსულა — მანქანებს შორის კი არ დარბის, ცეკვავსო... მილიციელი კი სასტვენში უბერავს...ერთი წამითაც არ ჩერდება...აჰა, როგორც იქნა, მანქანების მდინარეს თავი დააღწია, აგერ მილიციის შენობაც... არის ხსნა, მეორე სართულზე...

და შევარდა ისაკო-„ტარზანა“ მილიციაში. მეორე სართულზე ასასვლელი კიბის საფეხურსაც დაჰკრა ფეხი. მილიციის მორიგე გამოენთო, თავისი ბუდრუგანიდან მყის გამოვარდა და ხალათში მისწვდა — ჩაავლო ხელი.

— უფროსთან, კეკუასთან მაქვს საქმე! — ყვირის ისაკო-„ტარზანა.“

— არ შეიძლება, არავინ შემოუშვას, დაკავებული ვარო...

მილიციელიც შემოვარდა და ისაკო-„ტარზანას“ სახეში მუშტი ისე ძლიერ ჩასცხო, თვალებიდან ნაპერწკლები გამოცვივდა:

— რას მარბენინებ, შენი დედა!... გამოძიებელიც შემობარბაცდა, ხელი გულთან მიედო. ამიტომ ისაკო-„ტარზანას“ მუცელში წიხლი ჩაცხო. ძლიერად ვერ მოახერხა — ამდენის თავი არ ჰქონდა.

— სად გარბოდი, ძალიშვილი! — ისაკო ჩაიკეცა — ჩაგადეთ, პადვალში ჩაგადეთ ამის დედაც!

მილიციის მორიგეც ისაკო-„ტარზანა“ სარდაფში ჩათარია.

„ლიტერატურული გაზეთი“ №22. 26 ნოემბერი - 9 დეკემბერი. 2021

# მარინე გელაშვილი

(ციკლიდან „რომელთაც ძლიერ უყვართ ლიტერატურა“)

როსტომ ჩხეიძე

სად აღარ გადაისროდა ბედი და: როგორც ბოშას გამოკრული ძველმან-ში ჩვილი, ზურგით დაჭკონდა საქართველო, სადაც კი იყო.

იზა ორჯონიკიძე ამ მოხდენილი მეტაფორით თავის ხვედრსაც გამოხატავდა და ყველა იმ ადამიანისაც, იდუმალი და ანდამატური ძალით რომ მიბმოდნენ მშობლიურ ფესვებს და, უიმისოდ რომ არ გაედლებოდათ, ამიტომაც ჩვილივით უნდა გამოეკრათ ძველმანში და თან ეტარებინათ მისი სახეობა, მისი ძარღვი, მისი სისხლი და ხორცი – ეტარებინათ ცოცხალ და ხელშესახებ განცდამი... და არც ის რომ ანებებდათ თავს ზურგზე ატმასნილი ჩვილივით?!

მარინე გელაშვილის ბედიც ამ მეტაფორაში უნდა მოქცეულიყო – თურქეთში ამოჰყოფდა თავს, სტამბოლში, თუ ისრაელში, შრომა-გარჯისაგან გასავათებულს მაინც უნდა ეპოვნა ძალა თავის თავში, დაეარსებინა კულტურის ცენტრი, ხელოვნებისა და ლიტერატურის გარემო შემოერკალა ოაზისივით და სული მოეთქმევიანებინა იმ თვისტომთათვის, მასავით რომ არ გაედლებოდათ ქართული ფესვების, იქიდან მონაბერი სიოს გარეშე, კულტურის იმ საფუძვლების გა-

რეშე, ურომლისოდაც ქვეყანა ჰკარგავს საკუთარ სახეს და მოღნიშებულ ეზოს ემსგავსება, სათარემოდ რომ გაიხდის ყველა, ვისაც არ დაეზარება.

და მარინე გელაშვილთან ჰპოვებდნენ შვებას, მის ძველმანში გამოკრული ჩვილი დაასვენებდათ დალილ-დაქანცულთ და სულიერ ხიდს ვირტუალური ხიდიც რომ შემოეშველებოდა, ეს კიდევ უფრო განუმტკიცებდათ იმედსაც და რწმენასაც, რომ თვითონაც საქართველოსათვის იღვწოდნენ, მისი კულტურისათვის, ემიგრანტებიც, ლაზებიც და ის ქართველი ებრაელებიც, ქართულ სუნთქვას საგანმანათლებლო საუბრებსაც რომ შემოაშველებდნენ საქართველოდან – ლექცია ლექციასაც რომ მოჰყვებოდა და დიალოგი თითქოსდა დაშორებულ ქვეყნებს შორის მოუწყინარი შეიქნებოდა, ბევრგვარი ნაფიქრის ამოსაფრქვევად ეს ვირტუალური შეხვედრები მისწრება რომ იქნებოდა.

ამ ძაფებს მარინე გელაშვილი აბამდა. ამ ხიდებს მარინე გელაშვილი აგებდა. იქაურ შთაბეჭდილებებსაც ჩაინიშნავდა, ლექციების რეპორტაჟულ სურათებსაც მოხაზავდა და ამ ყოველივეს დროდადრო მემუარული ყაიდის სტატიებდაც აქცევდა, ამ მხრივაც რომ იჩენდა თავს მისი მრავალმხრივი ნიჭიერება; და იმედია დაუდგება ის დროც, როდესაც მიეცემა საშუალება ამ ყოველივეს აღდგენა-წარმოსახვისა წიგნად, თანამედროვე ქართული ყოფის სურათებს მიუკერძოებლად რომ შემოუწახავს შთამომავლობას – მისი კულტურის, მისი ლიტერატურის საგულისხმო და

მნიშვნელოვან რეალიებს ემიგრანტულ გარემოში თუ ბორჯომის ხეობაში, რომელიც მარინე გელაშვილის აქ მოღვაწეობისას თვალნათლივ აირეკლავდა ჩვენი მწერლობის მიღწევებს.

კარგა ხანს ემზადებოდა საამისოდ ქეთევან სალაყაიასთან ერთად, და... სულზე მოუსწრებდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების დაარსება, ბორჯომის მხარეს მარინე რომ ჩაიბარებდა და დიდსა და პატარას ჩართავდა ლიტერატურულ თავყრილობებში, რომლის სცენარისტიც თვითონვე იქნებოდა, რეჟისორიც, წამყვანიც და დეკლამატორიც, მსახიობურ ნიჭს ამ მხრივ ბოლომდე რომ გამოავლენდა და ბორჯომსა და ამ ხეობას გადააქცევდა სულიერების ოაზისად. ზეპირად წარმოთქვამდა მოზრდილ დრამატურგიულ მონოლოგებსა თუ ბელეტრისტულ პასაჟებს, განსაკუთრებით მაინც ოთარ ჩხეიძის ნაწერები რომ მიბმოდა გულზე და შეეძლო მისი რიტმიც და იდუმალი მუსიკაც სრულყოფილად განეცდებინა მსმენელისათვის, რომელნიც ამტიციებდნენ: რაღა სიმფონიის მოსმენა და რაღა მარინე გელაშვილის დეკლამაციის ამ ციკლისაო!..

„თედორე“ სულაც თავით ბოლომდე ეცოდინებოდა ზეპირად და შეეძლო მარტოდმარტოსაც ეთამაშა, ყველა პერსონაჟს თავთავის ხმასა და ინტონაციას რომ მოუძებნიდა და ერთი მსახიობის თეატრისა კი არა, მთელი სპექტაკლის შემსრულს გაგზავნიდა.

ჩვენ რომ სრულფასოვანი სახელმწიფო ვიყოთ, ასეთ ადამიანებს გამო-



ჩეულად უნდა ვუფრთხილდებოდეთ, ხელს ვუნყოფდეთ – ყოველ შემთხვევაში არ ვუშლიდეთ მაინც – და ვაბარებდეთ ქალაქებსა თუ მხარეებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ასალორძინებლად თუ განსამტკიცებლად...

გაძველებული კი არა გვყავდეს შორეულ გზებზე და მცირეზე მცირე დროს კი არ ვუტოვებდეთ ჯავისაგან გადაქანცულს, ლიტერატურით რომ მოითქვას სული და სხვებსაც მოათქმევინოს, მოიკრიბოს ძალ-ღონე და გარეგნული მჭკვფარებითა და მინაგანი დაუმომინებლობით ყველაც აიყოლიოს, ვინც მის ოაზისში ეძიებს შვებას.

ისე განა როდემდე უნდა დაატარებდეს ზურგით სამშობლოს მარინე გელაშვილი, როგორც ძველმანში გამოკრულ ჩვილს ბოშა...

## (დასაწყისი მე-2 გვერდზე)

ეტიმოლოგიურად უკავშირდება წყალს, კოლხეთის დაბლობის (ველის) ისტორიულად კარგად ცნობილი დაჭაობებულ-დაავადებული მინის ზედაპირის გამაჯანსაღებელ და გამანაყოფიერებელ მდინარე ფაზისის წყალს, წყლის ჭავთების (მეი კოლხას), რომელიც რეცხავდა და აჯანსაღებდა დაჭაობებულ მინას და ამასთანავე მდიდარი მდინარეული შლამით ანაყოფიერებდა მას.<sup>11)</sup> ყოველივე ეს ზუსტ შესატყვისობაში მოდის ძველ ბერძნულ ლეგენდარულ გადმოცემასთან, რომელიც ძვ. წ. III ს-ის ბერძენ მეცნიერს – მნასეას მიეწერება და, რომლის თანახმადაც, ტერმინები „კოლხი-კოლხეთი“ წყალთან კავშირშია გააზრებული, სახელდობრ ნათქვამია, რომ: კოლხებმა და მათმა ქვეყანამ თავიანთი სახელები მიიღეს კოლხოსისაგან – ფაზისის (მდ. რიონი) ვაჟიშვილისაგან.<sup>12)</sup> როგორც ვხედავთ, ამ ლეგენდარულ გადმოცემაშიც ტერმინი „კოლხეთი“ წყალთან კავშირშია გააზრებული. იგივე გადმოცემა დაცული ასევე ძვ. წ. III ს-ის პოეტ თეოკრიტესთან. მისი ცნობის თანახმად, კოლხთა ნათესავთავარი კოლხოსი იყო ძე ფაზისისა.<sup>13)</sup> კოლხოსი (კოლხი), როგორც აღვნიშნეთ, მდინარე ფაზისის წყალია, რომლის დაჭაობებულ ნიადაგზე ჭავლებად გადატარება-გადადენას (კოლხას) კოლხები ახდენდნენ ჭკვიანურად მოფიქრებული და ოსტატურად გაკეთებული სადრენაჟო თხრილების და ღრმა ჭების მეოხებით და ამ გზით ახერხებდნენ ავადმყოფი მინის გადარეცხვა-განბანვას, გაჯანსაღებას და სამინათმოქმედო სავარგულებად მის გადაქცევას.<sup>14)</sup>

ირიგაცია-მელიორაციის ეს ნოვატორული ხერხები და მეთოდები კი კოლხებს (ებრაელებს) უნდა მოეტანათ თავიანთი გამოსვლის ქვეყნიდან – ძველი ეგვიპტიდან სადაც ფართოდ იყენებდნენ ამ ქვეყნის დედამდინარის – ნილოსის ადიდებისას დატბორილ ტერიტო-

რიებზე ზედმეტი წყლის დასაშრობად, მინის ხელოვნურად მოსარწყავად და სამინათმოქმედო სავარგულებად გადასაქცევად. ამ საკითხს დანერგებით ნაშრომის დასკვნით ნაწილში შევეხებით, აქ კი ორივე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ არც ბაბილონელები იყვნენ ნაკლებ დახელოვნებულნი ხსენებულ ხერხებსა და მეთოდებში. ბაბილონი მათ იყენებდნენ შუამდინარეთის უდიდესი მდინარეების – ტიგროსის და ეფრატის ადიდებისას დატბორილი ნიადაგების ამოსაშრობად. ბაბილონის ახალ სამეფოში ირიგაციის ისეთ დონეს მიაღწიეს (უამრავი არხებისა და წყალსაცავების აგებით), რომ წარმატებით ახერხებდნენ წყალდიდობების თავიდან აცილებას. მთელი ბაბილონი დაქსელილი იყო არხებით, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა მინის ხელოვნური მორწყვა.<sup>15)</sup> ძვ. წ. VI ს-ში ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ დატყვევებულ და ბაბილონიში გადასახლებულ, ხოლო იმავე საუკუნის 538 წ. სპარსეთის ძღვევამოსილი მეფის კიროს დიდის მიერ განთავისუფლებულ ებრაელთა ერთი ნაწილი კავკასიაში, კერძოდ დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზეც ამოდიხ. ეს ცნობილი ფაქტია. ჩვენს ადრინდელ ნაშრომებში ფართოდ გვაქვს გაშუქებული ეს ფაქტი და აქ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სამშრომოდან მოსული ეს ებრაელები ისტორიკოსი მ. ჯანაშვილს წინადაცვეთის წესის მქონე მეგრულ/ზანებად მიაჩნდა, თვლიდა, რომ ძვ. წ. VI ს-ში სწორედ ქართველები უნდა გადმოსახლებულიყვნენ „სამხრეთიდან.“<sup>16)</sup> მ. ჯანაშვილის ამ საინტერესო, მაგრამ საკამათო მოსაზრებას ჩვენ კიდევ დაეუბრუნდებით, ბაბილონიდან გადმოსახლებულ ებრაელებზე კი ვიტყვით, რომ ეგვიპტიდან მოსულთა მსგავსად ისინიც, უუჭველად მოიტანდნენ ირიგაცია-მელიორაციის მაკლტექნიკურ ბაბილონურ ხერხებს, მაგრამ ნოვატორები მაინც ძველი ეგვიპტიდან მოსულები უნდა ყოფილიყვნენ, მათ უნდა დაეწყოთ მდ. ფაზისის (რიონის) წყლის ფართოდ და ჭკვიანურად

გამოყენება კოლხეთის დაბლობის უმძიმესი ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებისა და მის სამინათმოქმედო ზონად გადაქცევისათვის. დიდი მდ. ფაზისის დამსახურება ამ რთულ და მეტად შრომატევად პროცესებში. ამ დამსახურების გამო თუ იყო, რომ კოლხებს ძველადვე დაუდგიათ მისი სახელობის ღვთაების ქანდაკება, რომელსაც ძველი ბერძენი ავტორის – ფილოსტრატე უმცროსის აღწერით, „ხშირ ლურწამში მწოლარეს ყალყზე დამდგარი ხშირი თმა, საზარელი წვერი და ღია ფერის თვალები აქვს. უხვი წყალი მოედინება ღვთაების სხეულიდან და ეს ნარმოსადგენს ზღის თუ რაოდენი ძალა აქვს მისი სახელობის მქონე მდინარის ვარდანს პონტოში.“<sup>17)</sup> ებრაული ლექსიკური მონაცემების ასეთი საოცარი დამთხვევა ძველ ბერძენ ავტორთა გადმოცემებთან „კოლხი-კოლხეთი“ ტერმინების წარმოშობის შესახებ ნათელს ხდის მათ ებრაულ წარმომავლობას და მნიშვნელობას. იგივე ითქმის „ფაზის/ფასის“-ის შესახებ. როგორც კოლხი-კოლხეთის ისე ფაზის/ფასის-ის ეტიმოლოგიაც არ იყო აქამდე ცნობილი. ისიც არ იხსნება არც ბერძნულ, არც ქართულ ენობრივ ნიადაგზე, სამაგიეროდ კარგად იხსნება ებრაული ენით. კოლხეთის დედამდინარის და მის ნაპირთან დაარსებული ქალაქის სახელი „ფაზისი“ ოქროს, უფრო სწორედ წმინდა, ხალასი ოქროს აღმნიშვნელი ებრაული სიტყვიდან **ფაზ/პაზ**-იდან არის წარმოშობი. ამავე ტერმინით აღნიშნება რაჭაში მდებარე მთა – „ფასის მთა“ (კავკასიონი) - ძვირფასი ლითონებით, განსაკუთრებით რკინით და ოქროთი მდიდარი. მდ. ფაზისს უხვად ჩამოჰქონდა ამ მთიდან ოქრო, როგორც ჩანს, მაღალი ხარისხის, რაც მდიდარი არქეოლოგიური მონაპოვრებითაც კარგად დადასტურდა,<sup>18)</sup> ამიტომაც უნდა შეერქმეოდა ოქროს ჩამომტან მდინარესაც და მის ნაპიროზე აშენებულ ქალაქსაც მთის სახელის ანალოგიურად წმინდა ოქროს ანუ მაღალი ხარისხის ოქროს აღმნიშვნელი ებრაული სახელი „პაზ/ფაზ“, რომელსაც ბერძნულ-კოლხ-

ური ურთიერთობის ხანაში უნდა გასცნობოდნენ ბერძნები და „ფასის“-ის სახით გაეფორმებინათ ის. ალბათ ამიტომ არ მოიხსენიებს აპ. როდოსელი (ძვ. წ. III ს.) თავის „არგონავტიკაში“ ძვ. წ. VIII-VI ს.ს-ში ბერძნული კოლონიზაციის შედეგად დაარსებულ ქალაქთა შორის „ფაზის/ფასის“.

სახელწოდება „ფასის“ არავითარი კავშირი არ ეძებნება ტერმინთან „ფათ“-ი (თანამედ. „ფოთი“), რომელიც პროფ. რ. გორდუნიანის აზრით, იქ არსებული კოლხური დასახლებული პუნქტის ადგილობრივ სახელს წარმოადგენდა და ბერძნებმა, თითქოს, მის მიხედვით დაარქვეს მდინარეს და მის ნაპირზე აშენებულ ქალაქს „ფასისი“.<sup>19)</sup> ნორვეგიელ მეცნიერს ჰანს ფოგტსაც „ფასის“ – ტერმინის ამოსავლად ქართულ-ზანური (მეგრული) „ფათი/ფოთი“ მიაჩნია,<sup>20)</sup> თუმც კი ამ ტერმინის კვლევაც ამკარას ხდის მის ებრაულ წარმომავლობასაც და მნიშვნელობასაც. „ფათ“ ებრაულად ნიშნავს „ნანილს“, „ნატესს“, „ნაჭერს“. თუ გავითვალისწინებთ ფათი-ფოთის და მისი შემოგარენის მდებარეობას, რომლის ფარგლებშიც იგულისხმება ძველი „ფაზისი“, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ზღვისპირა ვაკე-დაბლობს, რომელიც ფოთს (ფათს) უჭირავს, რიონის (მდ. ფაზისის) ერთ-ერთი ტოტი არათანაბარ ნაწილებად<sup>21)</sup>, ასე ვთქვათ, ნაჭრებად ჰყოფს, ე.ი. ის იმ დაბლობის (კოლხეთის) ნაწილს უნდა აღნიშნავდეს, რომელიც ეჭირა და უჭირავს ფათი/ფოთის ძველ და ახალ დასახლებას. ებრაული სიტყვა „ფათ“-იც ხომ ნაჭერს ნიშნავს, ამდენად ძნელია იმ სპეციალისტთა მოსაზრებების გაზიარება, რომელთაც ტერმინი „ფაზის/ფასისი“ „ფათი“-დან წარმომდგარად მიაჩნიათ. მათი ეტიმოლოგია სრულიად განსხვავებულია ერთიმეორისაგან. ის საერთო კი რაც ამ და შემოთავახილულ სხვა ტერმინებს ახასიათებს ის არის, რომ ისინი ებრაული ლექსიკური ერთეულებია და ამ ენაზე მეტყველი ხალხისაგან უნდა იყოს მინიჭებული ხსენებული ადგილებისათვის.

\* ბიბლიური წარღვნის რეალობა მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია. დიდმა ინგლისელმა არქეოლოგმა ლეონარდ ვულმა, ქალაქ ურის პირველადმოქმენმა ბრწყინვალედ დაადასტურა წარღვნის ისტორიულობა.  
\*\* (ი)-ბერ-ი ებრაულად ნიშნავს „შვილს“, „ძეს“, „ვაჟს“, ხოლო ი-ბერ-ია – ღვთის (ია) შვილთა (ბერთა) ქვეყანას. ტერმინი „ღვთის შვილი“ არაჩვეულებრივად შემოინახა ხევსურთა ეთნოგრაფიულმა ყოფამ.  
\* ხსენებული ქალაქები საერთოდ არ არსებობდნენ ძვ. წ. მე-6 ს-ში (I)  
\*\* (ი)-ბერ-ი ებრაულად ნიშნავს „შვილს“, „ძეს“, „ვაჟს“, ხოლო ი-ბერ-ია – ღვთის (ია)

შვილთა (ბერთა) ქვეყანას. ტერმინი „ღვთის შვილი“ არაჩვეულებრივად შემოინახა ხევსურთა ეთნოგრაფიულმა ყოფამ.  
\* კლს ძირიდან არის წარმოშობი თანამედროვე ებრაული ლექსიკური ერთეულებიც: მიკლახათ (შხაპი), ლეპითკალეხ (შხაპის მიღება), ლეკალეხ (განბანვა, დაბანვა).  
**ბიბლიოგრაფია**  
1. ჯინჯიხაშვილი ზ. – ებრაელები და საქართველო, დიასპორა თუ..., თელ ავივი, 2012  
2. ნერეთელი კ. „ივრითი თუ ებრაული“, ჟურნ. „დროშა“, 95, 1998  
3. ჯინჯიხაშვილი ზ. – დასახ. ნაშრომი, გვ.

120-127  
4. Меликишвили Г. А. - К истории древней Грузии, стр. 63, Тб. 1959  
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 400, თბ. 1970  
6. იქვე, გვ. 401-402  
7. იქვე, გვ. 403-404  
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 10, 127 გვ. 238, თბ. 1986  
9. ქსე, იქვე  
10. ქსე, იქვე  
11. ჯინჯიხაშვილი ზ. – ებრაელები და საქართველო..., გვ. 122  
12. ლორთქიფანიძე ოთ. არგონავტიკა და

ძველი კოლხეთი, გვ. 65, 1986  
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 676  
14. ლორთქიფანიძე ოთ. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, გვ. 61, 1986; ჯინჯიხაშვილი ზ. - დასახ. ნაშრომი, გვ. 122  
15. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ.483, თბ. 1971  
16. „ივერია“, 116, 1887  
17. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 676-677  
18. ლორთქიფანიძე ოთ. – დასახ. ნაშრომი, გვ. 86-88

# „მე 20-21 საუკუნეების ებრაელი მეცნიერები საქართველოდან“

„ჭეშმარიტება როდი წყვეტს არსებობას თუ ის არ არის აღიარებული მრავალთაგან“  
ბარუხ სპინოზა

(დასასრული. დასაწყისი. „მ“ №3,4,5,6,7,8,9)



ფაკულტეტის კურსდამთავრებული გახლავთ (1992 წ.). ნარჩინებული დიპლომანტი დატოვეს უნივერსიტეტში კათედრაზე და კვლევა გააგრძელა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა ჰეტეროგენული კატალიზით რედუქციაზე, რაც მნიშვნელოვანია სამედიცინო ფარმაცოლოგიის თვალსაზრისით. ამოდის სკრაულში (1998 წ.) და განაგრძობს კვლევას გამტარ პოლიმერების განვითარებაზე: კეთილშობილი ლითონის შემუშავება Pt და Pd საფუძველზე ანოდისათვის და არაკეთილშობილი კატალიზატორი კათოდისთვის, როგორცაა კობალტის პორფირინი, ვერცხლი, სპინელები. 2004 წლიდან დაინიშნა კატალიზის ლაბორატორიის გამგედ. ატარებდა მრავალსაგნობრივ კვლევას: სანვავის უჯრედების ჰეტეროგენული კატალიზატორები, კატალიზატორის საპილოტე ალტერნატივის დაპროექტება და მშენებლობა, ლაბორატორიული სინთეზის გადატანა საპილოტე დაწესებულების მასშტაბით, ხარისხის კონტროლი კატალიზატორის წარმოებისთვის. 2011 წლიდან ინიშნება კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის მენეჯერად კომპანია GENCELL LTD, რომელიც აქტიურად მუშაობს ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის კომპანიებსა და ასოციაციებთან სანვავის უჯრედების ტექნოლოგიისა და მწვანე ენერჯის პოპულარიზაციის მიზნით. კვლევის სფერო აქტუალურია, ვინაიდან დაბინძურების და სათბურის გაზების შემცირება გააუმჯობესებს არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების ხარისხს, არამედ იმ სამყაროსაც, რომელშიც ვცხოვრობთ. ნინო ბორშჩუკოვას საკმაოდ ძლიერი ტექნიკური ბაზა და მაღალი კვალიფიკაცია გააჩნია სხვადასხვა მულტილინგვინური საპროექტო პროგრამებში, განსაკუთრებით ენერგეტიკული ტექნოლოგიების, ჰეტეროგენული კატალიზატორის, ელექტროდების სანვავის უჯრედების, ფოროვანი მასალებისა და ორგანული ქიმიის დარგში. მას დიდი გამოცდილება აქვს მრავალფუნქციური გუნდების შერჩევასა და მენეჯმენტში, რასაც ნამყვანი როლი ენიჭება კვალიფიციური მოტივირებული პერსონალის არჩევანში რთული ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად. საერთაშორისო მენეჯმენტის გამოცდილება მოიცავს: ძირითად ტექნოლოგიის განვითარებას, ახალი პროდუქტისა და კომპონენტების განვითარებას, ტექნოლოგიის გადაცემა კვლევისა და განვითარებიდან წარმოებაში, პროდუქტისა და ძირითადი კომპონენტების ვალიდაციას. ნინო მრავალი პატენტისა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია.

ფაკულტეტის კურსდამთავრებული გახლავთ (1992 წ.). ნარჩინებული დიპლომანტი დატოვეს უნივერსიტეტში კათედრაზე და კვლევა გააგრძელა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა ჰეტეროგენული კატალიზით რედუქციაზე, რაც მნიშვნელოვანია სამედიცინო ფარმაცოლოგიის თვალსაზრისით. ამოდის სკრაულში (1998 წ.) და განაგრძობს კვლევას გამტარ პოლიმერების განვითარებაზე: კეთილშობილი ლითონის შემუშავება Pt და Pd საფუძველზე ანოდისათვის და არაკეთილშობილი კატალიზატორი კათოდისთვის, როგორცაა კობალტის პორფირინი, ვერცხლი, სპინელები. 2004 წლიდან დაინიშნა კატალიზის ლაბორატორიის გამგედ. ატარებდა მრავალსაგნობრივ კვლევას: სანვავის უჯრედების ჰეტეროგენული კატალიზატორები, კატალიზატორის საპილოტე ალტერნატივის დაპროექტება და მშენებლობა, ლაბორატორიული სინთეზის გადატანა საპილოტე დაწესებულების მასშტაბით, ხარისხის კონტროლი კატალიზატორის წარმოებისთვის. 2011 წლიდან ინიშნება კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის მენეჯერად კომპანია GENCELL LTD, რომელიც აქტიურად მუშაობს ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის კომპანიებსა და ასოციაციებთან სანვავის უჯრედების ტექნოლოგიისა და მწვანე ენერჯის პოპულარიზაციის მიზნით. კვლევის სფერო აქტუალურია, ვინაიდან დაბინძურების და სათბურის გაზების შემცირება გააუმჯობესებს არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების ხარისხს, არამედ იმ სამყაროსაც, რომელშიც ვცხოვრობთ. ნინო ბორშჩუკოვას საკმაოდ ძლიერი ტექნიკური ბაზა და მაღალი კვალიფიკაცია გააჩნია სხვადასხვა მულტილინგვინური საპროექტო პროგრამებში, განსაკუთრებით ენერგეტიკული ტექნოლოგიების, ჰეტეროგენული კატალიზატორის, ელექტროდების სანვავის უჯრედების, ფოროვანი მასალებისა და ორგანული ქიმიის დარგში. მას დიდი გამოცდილება აქვს მრავალფუნქციური გუნდების შერჩევასა და მენეჯმენტში, რასაც ნამყვანი როლი ენიჭება კვალიფიციური მოტივირებული პერსონალის არჩევანში რთული ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად. საერთაშორისო მენეჯმენტის გამოცდილება მოიცავს: ძირითად ტექნოლოგიის განვითარებას, ახალი პროდუქტისა და კომპონენტების განვითარებას, ტექნოლოგიის გადაცემა კვლევისა და განვითარებიდან წარმოებაში, პროდუქტისა და ძირითადი კომპონენტების ვალიდაციას. ნინო მრავალი პატენტისა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია.

პროფესორი **დოდო ჩიკვაძე** უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი

პროექტი „ებრაელი მეცნიერები საქართველოდან“ პირველად 2014 წელს იქნა წარმოდგენილი ბარ-ილანის უნივერსიტეტში სემინარზე „საქართველოს ებრაელობა: ისტორია და კულტურა“. ამ მასალის შეგროვების შესაძლებლობა კი მხოლოდ 2003 წელს დაარსებულ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მეცნიერთა კომისიის ჩამოყალიბებამ განაპირობა. კომისიის სათავეში ჩაუდგა პროფესორი დავით ბააზოვი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო 2003, 2004, 2012 წლებში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები. დროთა განმავლობაში მეცნიერთა მონაცემთა ბაზა ივსებოდა და მდიდრდებოდა. მსურს უღრმესი მადლობა მოვახსენო გაზეთ „მენორა“-ს რედაქტორს, ბატონ გურამ ბათიაშვილს, ვითა პრიორიტეტულია მიიჩნია თემის მეცნიერთა მოღვაწეობა მკითხველისათვის გაეცნო. „ნუ დავკარგავთ იმას, რისთვისაც მიგვიღწევია, რაც გვიკეთებია“- ასე მიმართა მან მკითხველს. მასალა იბეჭდებოდა სათაურით „მე 19-20 საუკუნეების ებრაელი მეცნიერები საქართველოდან“ („მენორა“, 2020, 1-3, 11-13). თხოვნა გაგებული და შედეგისად გამოგდა. მასალის მოწოდება მათთვის ცნობილი მეცნიერებათა შესახებ დღემდე გრძელდება, რაც პროექტის სრულყოფის შესაძლებლობას გვაძლევს. გაეცანით ახალ კვლევას, სადაც ქრონოლოგიურად წარმოდგენილი მკვლევარ-მეცნიერთა პიროვნებებს.

მრავალმხრივ გადაწყვეტილებათა პატენტებით. პირადად, სხვადასხვა ნივთიერებისაგან დამზადებული ოპტიკური ლინზების დიფრაქციის განყოფილებაში მსახურობს, ქიმიური ლაბორატორიის წამყვანი ქიმიკოსად. გახლავთ მრავალი დანერგილი რაციონალიზატორული წინადადების და სამეცნიერო პუბლიკაციათა ავტორი. პარალელურად ბლანჩივადის სახ. მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული გახლავთ - ფორტეპიანოს კლასის პედაგოგი და სპორტის ოსტატი ჭადრაკში.

**მარინე სოლომონიშვილი** - საქართველოს სამხატვრო აკადემიის არქიტექტორის სპეციალობით ნარჩინებით და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ასპირანტურაში სწავლობდა მოსკოვის სასწავლო აღმზრდელით ნაგებობათა ნაგებობათა დაგეგმარების ინსტიტუტში. 1988 წელს მოსკოვში დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „სასწავლო აღმზრდელით ნაგებობათა დაგეგმარება კავკასიის სპეციფიური პირობების გათვალისწინებით“. მსახურობდა არქიტექტურის თეორიის ქალაქის დაგეგმარების ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომელი 1988-1996 წ. ექსპერიმენტალური პროექტების ზონალური სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში - არქიტექტორი და უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი დასრულებულია საქართველოს ეროვნული აკადემიის პროფესორი 2003 წლიდან. 1994 წლიდან მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მათი ხსოვნის პატივსაცემად აქტიურად მოღვაწეობს ებრაულ თემში. 1998 წლიდან საერთაშორისო ფონდ „ლეა“-ს პრეზიდენტი გახლავთ. საქართველოში ებრაული თემის წარმომადგენელი - ის ხელმძღვანელობს ებრაულ ქალთა საერთაშორისო საბჭოს და გახლავთ სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრი. საქმიანობის ძირითადი მიზანია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ქალთა გაძლიერება, მათი უფლებების დაცვა და ინტეგრაციის ხელშეწყობა. 100-ზე მეტი სტატია და ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის ორი ნივთის ავტორი გახლავთ. ჰქონდა სამხატვრო გამოფენები. როგორც ჟურნალისტი მუშაობს ებრაული ინტერნეტ ქსელი - კულტურის, ხელოვნების და მეცნიერთა გაერთიანებასთან არსებულ საინფორმაციო ცენტრში (მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი), გაზეთ „ოქროსი სანძისი“ (რედაქტორად), გაზეთ „კვირის ფოსტა“ (ჟურნალისტიკა), გაზეთ „მენორა“ (ჟურნალისტიკა). 2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეების ფარგლებში, მუზეუმისა და საერთაშორისო ფონდ „ლეა“ და ებრაელ ქალთა საბჭოს ორგანიზებით, მუზეუმში გამართულ საღამოზე მოხსენებით გამოვიდა: „ევროპასთან საქართველოს ინტეგრირების კულტურული ხიდეები“. მოხსენება წარმოდგენილი ებრაული არქიტექტურის შესახებ საერთაშორისო კონგრესზე - „სინაგოგა და მუზეუმი“ (ბრაუნშვეიგი, გერმანია, 2017). ქალბატონმა მარინე სოლომონიშვილმა მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი გრაფიკული ნამუშევრები. სტუმრებმა იხილეს საინტერესო დოკუმენტური ფილმი: „მუზეუმის საიდუმლოებანი - იერუსალიმის ებრაული მუზეუმი“, 2013. 30.09.2018.


**თამარ პაზიაშვილი** - სტენდორდისა და კალიფორნიის უნივერსიტეტების პროფესორი, ნარმატებული ქართველი მეცნიერი თამარ პაზიაშვილი ეპილეფსიის კვლევის საკითხებში შეტანილი წვლილისთვის Michael Prize-ით დაჯილდოვდა. Michael Prize ეპილეფსიის შესწავლის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გადაეცემა მეცნიერებს. Michael Prize-ის ნობელის პრემიის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯილდოდ ითვლება. ჯილდო გადაეცა აღმოჩენისთვის, რომლის საშუალებით, მღრღნელებს ოპტოგენეტიკის დახმარებით ეპილეფსიური კრუნჩხვები დაწყებით-სთანვე უწყდებათ. ეს ხერხი მეცნიერებს საშუალებას აძლევს, ტვინის გარკვეული უჯრედები სინათლის საშუალებით გააქტიურონ ან „გამორთონ“. მან აღმოაჩინა ნეირონების წრედი, რომელსაც კრუნჩხვების შეჩერება შეუძლია. სკოლა თბილისში დაამთავრა და 1994 წელს დედისთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრა. თამარმა სწავლა ვოლტერის სახელობის ლიეუვში გააგრძელა, სადაც მისი მათემატიკის ცოდნის დონის შეფასების შემდეგ ორი კლასით წინ დასვეს, თუმცა იმ დროს ფრანგული საერთოდ არ იცოდა. შესაბამისად, ორი წლით ადრე წარმატებით დაამთავრა ლიეუვში და ჩაირიცხა ლიონის სამედიცინო ინსტიტუტში. უმაღლესი განათლება პარიზის მარი და პიერ კიურის სახელობის უნივერსიტეტში მიიღო და დისერტაცია დაცვა კოლეჯ დე ფრანსში. 2007 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სადაც თამარმა სტანფორდის უნივერსიტეტში პოსტ დოკტორანტის პოზიცია დაიკავა, 33 წლის ასაკში თამარ პაზიაშვილი გახდა სან ფრანცისკოსა და სტანფორდის უნივერსიტეტების ასისტენტ-პროფესორი და ლაბორატორიის გახსნის შეთავაზება მიიღო გლადსტონის ინსტიტუტისგან. ლაბორატორია მის სახელს ატარებს (პაზ ლაბ) და ადამიანის ტვინის პრობლემების შესწავლით არის დაკავებული.

დავით ბოთურა (ბოთურაშვილი) - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი 1973 წელს ამოვიდა ისრაელში პროექტი „Naale“-ის ფარგლებში. პროგრამა უზრუნველყოფს უფროს კლასების მოსწავლეებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან რეპატრაციისთვის, ისრაელში საშუალო განათლების დასასრულებლად და სიმნიფის ატესტატის, სერთიფიკატის მიღებას. ბაკალავრიატი ხაიფის უნივერსიტეტში დაასრულა პოლიტიკისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე სამეცნიერო ხარისხი ხაიფის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „საბჭოთა ტოტალიტარიზმის კრახის პოლიტოლოგიური ანალიზი. ცივილიზაცია როგორც სამოქალაქო საზოგადოების გენეტიკური შიფრი“ (1995 წ.) დაიცვა საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1999-2002 წწ. ხაიფის უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტის პოზიციით განაგრძობს კვლევებს. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო კვლევის შედეგები პერიოდულ გამოცემებში, მოხსენებული აქვს სამეცნიერო კონფერენციებზე. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში: პოლიტიკომიხილელი და ეკონომიური საინფორმაციო ანალიტიკოსი რადიო „ისრაელის ხმა“ ქართულენოვანი განყოფილება; შლომის მერის მოადგილე და კონფლიქტის ზონის ფორუმის წევრი; კორდინატორი დასავლეთის ონკო-გენეტიკური ინტერდისციპლინარული ცენტრში გალილიის საავადმყოფოში, ნაჰარიაში; მონაწილეობდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. პუბლიცისტური ნარკვევი „ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდების გამოქვეყნებულია ლიტერატურულ ჟურნალში „ანეული“, 2021წ.

**ნინო ბორშჩუკოვა** - სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური

**ბორის ჩაჩანაშვილი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის ფიზიოლოგი. 1965 წელს ნარჩინებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. გახლდათ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე 1961-1965 წწ. 1985 წელს ი.ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „ფიზიკური დატვირთვითა და ორთქლის აბანოში სხეულის წონის ფორსირებული დაკლების გავლენა მოჭიდავეთა ფუნქციონალურ მდგომარეობაზე“ (03.00.13 - ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგია). 1984-1994 წწ. - საქართველოს ნაკრები გუნდის მეცნიერ-კონსულტანტი სამბოში და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 1990 წელს მიენიჭა დოქტორის, ხოლო 1994 წელს მეცნიერებათა დოქტორის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე მეთოდური და სამეცნიერო ნაშრომი, ძირითადად სპორტსმენთა წონის ხელოვნურად დაკლების საკითხებზე. მისი ავტორობით გამოიცა წიგნი „საქართველოს ებრაელები სპორტულ სარბიელზე“ (2008 წ.). სსრ კავშირის სპორტის ოსტატი (1962 წ.); საქართველოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (1961); ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეორე პრიზიორი (1966 წ.). გახლდათ საქართველოს სპორტული საზოგადოება „მეჩაბის“ გამგეობის წევრი. 2003 წელს დაინიშნა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარედ. 2014 წელს მიენიჭა საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. **პაზიაშვილი (ბუზიაშვილი) ისაი** - 1970 დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი მაღალი ენერჯიების თეორიის სპეციალობით. 1970-90 მუშაობდა საქართველოს სსრ აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ცხრა-წყაროს კოსმოსური სხივების ლაბორატორიაში და მაღალი ენერჯიების თეორიის განყოფილებაში, უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1977 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „სუსტი ურთიერთქმედების სიმეტრიის სპონტანური დარღვევები“. 1990-დან ისრაელში მოღვაწეობს. 1990-95 მუშაობდა თელ-ავივის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე უფროსი ლექტორის სტატუსით. 1995-2014 კომპანია ლიპმან-ენჯინერინგ-ვერფონი, პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინის უფროსი არქიტექტორი გახლდათ. **ნატალი მეგრელიშვილი (ელიგულაშვილი)** - ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, ქქუთაისის ნ.მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1981წ.). საკვალიფიკაციო დისერტაცია (1987 წ.) დაიცვა თემაზე: „სწრაფი ანალიტიკური მეთოდი ფორმირებულ თიხაში - SiO2 - ის პროცენტული შემადგენლობისა“. საქართველოში მსახურობდა ქუთაისში ს.ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში (1982-1993 წწ.), ინჟინერ-ქიმიკოსად ცენტრალურ ანალიტიკურ ლაბორატორიის უფროსად. პარალელურად კითხულობდა სალექციო კურსს ორგანულ ქიმიასა და საერთო ქიმიის კათედრაზე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1993 წლიდან მოღვაწეობს ისრაელში იერუსალიმში „Ophir Optronics“-ში, რომელიც მსოფლიოში არის აღიარებული ზუსტი ლაზერული გაზომვის ალტერნატიული და მაღალ ტექნოლოგიები

# საგანძური — საუკუნის პროექტი



მე-12 საუკუნეში შექმნილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძური — შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი მე-18 საუკუნემდე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. დღემდე მოღწეულია პოემის 164 ხელნაწერი ფრაგმენტი. ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი შექმნისა და გამოცემის იდეა გაუჩნდა საზოგადო მოღვაწეს გურამ ახალაიას. აი, რას წერს იგი ამ ჭეშმარიტად უნიკალური გამოცემის შესავალში: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებისადმი მონივნებამ, ცნობილი, თუ უცნობი გადამწერების მიმართ მადლიერების გრძნობამ გამიჩინა სურვილი „XXI

საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი შეგვექმნა. ამიტომაც თხოვნით მივმართე ჩვენი ქვეყნის მოღვაწეებს, საერო და სასულიერო პირებს, საზოგადოების გამორჩეულ პიროვნებებს ეტივრთათ ერთდროულად საპატიო და საპასუხისმგებლო მისია“. გურამ ახალაიას მრავალწლიანი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა: ჩვენი დროის გამოჩენილ მოღვაწეთა ხელით შეიქმნა ახალი ხელნაწერი ამ გენიალური ქმნილებისა და მკითხველმა უკვე მიიღო „XXI საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი“ შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს გახლავთ უიშვიათესი, დიდებული გამოცემა.

გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი შექმნეს მწერლებმა: ჯემალ აჯიაშვილმა (გვ.123-124), გურამ ბათიაშვილმა (გვ.133-134), სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეთ ხუბაშვილმა (გვ.244) და კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა(გვ.282). ამ უნიკალური გამოცემის ავტორი აყენებს წინადადებას, რომ ყოველ მომდევნო საუკუნეში შეიქმნას უკვდავი პოემის ახალი ხელნაწერი გამოცემა

## „ტოლერანტობის საერთაშორისო დღე“



2021 წლის 16 ნოემბერს სასტუმრო „უინდემ გრანდ თბილისის“ საზეიმო დარბაზში საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ „ტოლერანტობის საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავი ღონისძიება გამართა, რომელზეც ტრადიციულად საზეიმოდ დააჯილდოვეს „ტოლერანტობის ქომაგები“.

საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ ნოდებით დაჯილდოვდა 6 პიროვნება, მათ შორის გახლავთ ორი ებრაელი: ნომინაციაში პიროვნება - ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რან გიდორი, ხოლო ნომინაციაში „ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაცია, პიროვნება“, სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრი, საერთაშორისო ფონდ „ლეას“ & ებრაელ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელი მარინე სოლომონიშვილი. დაჯილდოებულთა გულითადად ვულოცავთ ამ წარმატებას.

## რიგასთან, რუმბულეს ტყეში...




80 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გერმანელმა ფაშისტებმა რიგის გეტოს ებრაელები ამ ქალაქთან ახლოს — რუმბულეს ტყეში მიიყვანეს. წინა დღეს კი აქ მოასხეს გერმანელი ებრაელების პირველი ეშალონი. 30 ნოემბერს და ერთი კვირის შემდეგ — 8 დეკემბერს ფაშისტებმა ამ ტყეში 25 ათასი ებრაელი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ამ ტრაგედიის 80 წლისთავთან დაკავშირებით, რიგის ებრაელთა თემმა ებრაელთა გადარჩენის მემორიალის დირექტორის ლოლიტა ტომსონის მეთაურობით, საღამო ხანს ხსოვნის სანთლები აანთეს.



ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ეგიდით 28 ნოემბერს ჩატარდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ყრილობა. კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი ომის ვეტერანთა შორის.

ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „გულთა კავშირი“-ს პრეზიდენტის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ისრაელში საქართველოს კულტურის დესპანის — რობერტ აჯიაშვილი - ადარის წარმატება. რობერტ ადარს საქართველოს მწერალთა კავშირმა მიანიჭა ილია ჭავჭავაძის პრემია და ოქროს მედალი, ხოლო საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიამ ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად აირჩია.



## საპატიო დოქტორი



ქართულ-ებრაული ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის თბილისის კავკასიის უნივერსიტეტმა საქართველოში ისრაელის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შაბთაი ცური საპატიო დოქტორად აირჩია.

30 ნოემბერს გაიმართა საპატიო დოქტორის მინიჭების ცერემონია.

## „მამის ნაამბობის“ პრეზენტაცია



29 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩატარდა მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინის იაკობ გაგულაშვილის ნიგნის „მამის ნაამბობის“ პრეზენტაცია.

დაამუშავებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ვახტანგ VI ქ. №30



რედაქტორი: მ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიმართ. რედაქტორის მისამართი № 4/1-921

რედაქტორი: გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003